საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 ივლისი, 2015 წელი.

№131 (7776)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჯოხებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

სოსო შატბერაშვილი:

ნათელაშვილმა სახლი მისცა საკაშვილის მიცემული ფულით აიშენა

7

ის, რომ ღვთისმშობლის კვართი საქართველოში ინახება, დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ასეთი მაღალი თანამდებობის პირი ესწრება ამ დღესასწაულს, – ასე მიმართა ცაიშისა და ზუგდიდის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე გერასიმემ ზუგდიდში ვლაქერნობის დღესასწაულზე მყოფ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს.

ცაიშისა და ზუგდიდის ეპარქიის მიტროპოლიტმა ირაკლი ღარიბაშვილს დღესასწაულზე დასწრებისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ მიესალმება მთავრობის მეთაურის სურვილს, შეისწავლოს აფხაზური ენა.

„თქვენ ერთხელ თქვით, რომ აპირებთ შეისწავლოთ აფხაზური ენა. ამან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რადგან აქედან აფხაზეთი სულ რამდენიმე კილომეტრშია“, – აღნიშნა მეუფე გერასიმემ.

ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ტაძარში შეკრებილ მომლოცველებს დღესასწაული მიულოცა ირაკლი ღარიბაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ სულ მალე ვლაქერნობას აფხაზებთან ერთად ვიზეიმებთ.

„ის, რომ ღვთისმშობლის კვართი საქართველოში ინახება, გვაკისრებს დიდ პასუხისმგებლობას. ჩვენ განსაკუთრებულად უნდა მოვეპყროთ ამგვარ სიწმინდეს და მადლობა ვუთხრათ უფალს ყველაფრისთვის. გილოცავთ დღევანდელ დღეს, გისურვებთ სულიერ სიმტკიცეს, გაძლიერებას და ჩვენი ქვეყნის გაერთიანებას. როგორც მეუფე გერასიმემ ქადაგებაში ბრძანა, ჩვენ ერთ დღეს შევალთ აფხაზეთში და ჩვენს დებთან და ძმებთან ერთად ვიზეიმებს ვლაქერნობას“, – განაცხადა პრემიერმა.

საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ, ცაიშისა და ზუგდიდის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე გერასიმემ ირაკლი ღარიბაშვილი და მისი ოჯახი დალოცა და მათ ღვთისმშობლის მფარველობა უსურვა.

მინდია უგრეხელიძე:

აშკარაა, რომ მურუსიძე ხელს უშლის სასამართლოს დამოუკიდებლობას

3

უნამუსობის სამშენებლო

პოლიგონი

სოლოლაკის სასახლესთან

6

საკაშვილის ჯუდმა, დემაგოგმა გიორგი ჯულიეტოვნა გაბუნიამ საქართველოში თავისავით დემაგოგი დესანტი გადასცა

2

გაუპატიურებული კაცობა და ქართველი დემო(ტ)რაკები

4

რუსეთის ქმედებას რეაგირება უნდა მოჰყვეს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს მეშვეობით, რუსეთის ფედერაციას საპროტესტო ნოტა გადასცა.

„ქართულმა მხარემ შვეიცარიის ელჩს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია 2015 წლის 10 ივლისს რუსეთის ფედერაციის მიერ გორის რაიონის სოფელ წითელუბნის და ოკუპირებული ახალგორის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის სიახლოვეს აღმართული ე.წ. „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერების უკანონოდ განლაგების შესახებ და დაგმო რუსეთის პროვოკაციული ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ადგილზე ვითარების დესტაბილიზაციას“, – აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

შვეიცარიის მხარეს ასევე გადაეცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა და ეთხოვა მისი რუსეთისთვის გადაცემის უზრუნველყოფა.

◎ ᲭᲘᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲯᲠᲝᲒᲡ

„ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ“ „ᲓᲔᲓᲐᲐᲙᲕᲜᲔᲡᲔᲑᲣᲚᲗᲐ“ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ **მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე იმ დღიდან დაიწყო, როდესაც საბჭოეთის შუაგულში, წითელ მოედანზე უზარმაზარ მორაკიდებულ „მუჟიკებს“ პროლეტარიატის დიდმა ბელადმა მხარი წაახმარა და ეს ფაქტი ვითომდა შემთხვევით იქ მყოფმა ფოტოგრაფმა გადაიღო. იმ დღიდან მოყოლებული დედამიწის მეექვსედზე არ არსებობდა დამწყები, მოყვარული თუ ცნობილი მხატვარი, თავისი ინტერპრეტაციით რომ არ დაეხატა ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელიც ისტორიაში „ლენინური შაბათობის“ სახელით შევიდა. თითქმის 70 წელი ვშაბათობდით დიდი და პატარა. ვრგავდით ხეებს, ვასუფთავებდით პარკებს, სამუშაო ადგილებს, მეორე დღეს კი კომუნისტური პრესა გვაუწყებდა, რომ წინა დღეს მოწყობილ შაბათობაზე მილიონობით მანეთის საქმე გაკეთდა. ვიყავით ასეთ განცხრომაში. დაინგრა საბჭოეთი და შაბათობებიც ნელ-ნელა მიხუთშაბათდა.**

ახლა ძირითადზე გადავიდეთ და ისტორიაში ჩავტოვოთ „ლენინური“, „კომკავშირული“ და „წითელი“ შაბათობები. არ ვიცი, ნოსტალგია მოაწვა, ღადავის ხასიათზე მოვიდა თუ რა ბზიკმა უკბინა, ჩემმა სიყრმის მეგობარმა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ხუთშაბათობების მოწყობა დაიწყო. შეგვკრებდა ჩუღურეთში, თავის სახლში ძველ მეგობრებს, ბებიამისის, ქალბატონ ანეტას ნამზითვ, მუხის საუკუნენახევრიან კარადას ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში გადაგვატანინებდა, შემდეგ სუფრას გაშლიდა და „ხუთშაბათობასაც“ აღნიშნავდა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადს, თითქმის ყოველ მეორე ხუთშაბათს.

გამიკვირდა ორიოდე დღის წინათ რომ დამირეკა და მითხრა, ჩვენი დღესასწაული აღვადგინე და სამშაბათს საღამოს მეწვიეო. გამიკვირდა, რადგან ჩვენი „ხუთშაბათობების“ გადამკიდე ანეტა ბებოს კარადა კარგა ხნის დაშლილი იყო და ჩემს მეგობარს არათუ მისი რესტავრაციის, „ხუთშაბათობების“ ძირითადი და მთავარი მიზეზის – ქეიფის ფულიც აღარ ჰქონდა. თანაც ისეთი სახელი დაურქმევია თავისი შაბათობისთვის, რომ გამეცინა. „დედააკვნესებულთა“ დღე უნდა აღვნიშნოთო. მისი ენის პატრონი, ვიცოდი საითკენ უმიზნებდა. ნაცების ცხრაწლიანმა ბოგინმა ისე გამწარა არამარტო ჩემი მეგობარი, არამედ მთელი საქართველო, რომ მათ მისამართით ათასგვარ ტერმინს ხმარობდა – „დედა ატირებულები“, „დედა არღნიანები“, „დედაზე ადრე გაუპატიურებულები“. ალბათ, „დედააკვნესებულებიც“ მაგ სტილში გადის-მეთქი და არც შევმცდარვარ. თურმე „გამოკონჩიტავებულ“ კოხტაპრუწა გაბუნიას, იგივე ჯულიეტოვიჩს გადაცემა „არჩევანს“ ეძახის ასე და გადაწყვეტილი აქვს, კვირაში ორჯერ (თანაც მხოლოდ მაშინ გადართავს ტელევიზორს „რუსთავი 2“-ზე) აღნიშნოს „დედააკვნესებულთა“ დღე. პირველად გახლდით ამ „სახალხო დღესასწაულზე“ და რომ გითხრათ უსიამოვნო დრო გავატარე-მეთქი, მოგატყუებთ. ხუთიოდე ძველი მეგობარი ერთ ხმაში ათას ბრუნვაში ვიხსენებდით ნაცებს და შიგადაშიგ „ოცნებასაც“ – „იმათი ბოგინისთვის“. მოკლედ მიმოხილვას, ანუ „დედააკვნესებულთა“ გაანალიზებას ვაპირებდი, რომ რედაქციაში ჩვენი მკითხველის წერილიც დამხვდა და როგორც წესია, დღევანდელ მიმოხილვას ბატონ **ალფეზ დანელიას** წერილს დავუთმობ თქვენი ნებართვით, ჩვენი გაზეთის მკითხველებო, მომავალ გაბუნობამდე, ანუ ჩვენი მეგობრისა არ იყოს, მომავალ „დედააკვნესებულებამდე“.

პატივისცემით
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲣᲓᲛᲐ, ᲓᲔᲛᲐᲒᲝ�გᲛᲐ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲯᲣᲚᲘᲔᲢᲝᲕᲜᲐ �გᲐᲑᲣᲜᲘᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲕᲘᲗ ᲓᲔᲛᲐᲒᲝᲒᲘ ᲓᲔᲡᲐᲜᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ

„ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲛᲐ“ ᲣᲪᲧᲣᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲡᲐᲮᲔ

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 14 ივლისს, სააკაშვილის დორბლში ამოსვრილმა კუდმა, პოლიტიკურმა დედმაგოგმა და შანტაჟისტმა გიორგი გაბუნიამ თავისი ეგრეთ წოდებული „არჩევნით“ კიდევ ერთხელ გვაჩვენა თავისი ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი მახინჯი სახე.

საზაფხულო არდადეგების წინ მან მოიქნია, მაგრამ რა მოიქნია (მთელი ოთხი საათი იქნია!) ეშმაკთაგან ავად დაწნული კუდი, რომელიც იუდას ფუნჯადაც შეიძლება რომ წარმოვიდგინოთ, და თავისი მოკლე ჭკუით ახალი ხელისუფლების პირობებში საქართველოს სრული გადაშენებისა და გადაგვარების აპოკალიფსური სურათი დაახატვინა „რუსთავი-2“ის ჯოჯოხეთური პროპაგანდისტული მანქანის ცნობილ ყმა-მონებს, რომლებიც, ვითომ კეთილმოსურნე ოპოზიციურ ნიღაბაფარებულნი, დღემდე ცხარე ცრემლით მისტირიან თავიანთ მამა-მარჩენალს, ამჟამად ოდესელთა სავალალოდ და საუბედუროდ იქ გაგუბერნატორებულ, არაკაცობაში ცოდვილ, ძებნილ სააკაშვილს.

პროპაგანდა მსმენელამდე თუ მაყურებლამდე საკუთარი მიზნის მიტანის ერთ-ერთი ფაქიზი ხერხია, რომელიც მხოლოდ მაშინ აღწევს სასურველ შედეგს, როცა პროპაგანდისტს, მით უმეტეს, მტრული და მავნებლური ჩანაფიქრის მქონეს, ყველა ზემოქმედების ნიუანსი მკაცრი ლოგიკით აქვს გათვლილი, თუ არადა, პირუკუ შედეგს იღებს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, სწორედ ასე დაემართა უმეტესი გონიერი მსმენელისა თუ მაყურებლის თვალში ნაციონალების მავნე იდეოლოგიით ავად გაჟღენთილ გიორგი გაბუნიას 14 ივლისის ავბედით ექსპერიმენტს...

ჯერ ერთი, მთელ საქართველოში აშკარად ბოროტი მიზნით გადასხმული დესანტის მიერ ნაჩვენებ თითქმის ყოველ კადრში თვალნათლივ ჩანს, რომ ბევრი რამ იმ უბედურებათაგან, რაც დესანტმა გამიზნულად გვახილვებინა, არც დღეს და არც გუშინ არ დაწყებულა, ფესვები ნაციონალთა ათწლიანი ბოროტების სიღრმეში აქვს გადგმული და ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის დაბრალება უბრალოდ გაბუნიას პროპაგანდისტული იაღლიშია, ოღონდ იმ იმედით, რომ მიამიტ და გულუბრყვილო მსმენელს თუ მაყურებელს ერთხელ კიდევ (ალბათ, მეათასედ!) მოატყუებდა და მოაღორებდა.

ისე, ასეთი ურჯუკული დავალებით საქართველოში კი არა, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში რომ გადასხა ასეთი ანტისაქვეყნო დესანტი (თუნდაც აკაკი გოგიჩაიშვილი, თამარ ბაღაშვილი, ეკა კვესიტაძე, თენგიზ გოგოტიშვილი, სხვა ყურმოჭრილ ვაიჟურნალისტებს რომ შევეშვათ), ალბათ, კიდევ უფრო მეტად აპოკალიფსურ სურათს ვიხილავდით.

ჩვენს ხალხს ჯერ კიდევ როდის უთქვამს, კაცს თუ არ უნდა, რიყეზე ქვას არ დაინახავსო, ანდა კეთილად განწყობილ ადამიანს ჭაობშიც შეუძლია ცით არეკლილ ვარსკვლავთა დანახვაო.

რა თქმა უნდა, გაბუნიას უაღრესად ტენდენციური დესანტი (ვინ იცის, იქნებ ეს სულაც ოდესის გუბერნატორის მიერ დანიშნული „რუსთავი-2“-ის კანტორის დირექტორის გვარამიას იდეაც არის!) რიყეზე ქვის არდამნახველ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, ვარსკვლავებს ჭაობში კი არა, ამ მთავრობის კანცელარიის თავზე გადმომდგარ ცაზეც ვერ ხედავს და არც დაინახავს, რადგან დღემდე პასუხუგებელი სააკაშვილის გაფულფულებულ ცხოვრებას მიჩვეულ ნაციონალთა მსახურ გუნდს მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოქმედებს: **ხალხისგან შეჩვენებული ნაციონალები ისევ მობრუნდნენ ქვეყნის სათავეში და ისევ ცოცხებით გაუპატიურების პოლიტიკა ალადგინონ, ხოლო უბედურებისგან მხსნელი პარტნიორი ამერიკისთვის უფრო მეტი ერთგულების დასამტკიცებლად მალევე ერთსქესიანთა ქორწინება შემოიღონ და პრაქტიკაშიც თვითონვე პირველებმა განახორციელონ ეს სიახლე, ანუ სააკაშვილმა ბოკერია შეირთოს, გვარამიამ – გაბუნია, ხოლო ჩერგოლეიშვილმა – კვესიტაძე. გამორიცხული არ არის არც ბარამიძისა და მინაშვილის ანდა ხერხეულიძისა და თაქთაქიშვილის ქორწინებაც.**

ჯვრისწერა სად მოხდება, ეს, ალბათ, ცოტა უფრო გვიან გაირკვევა!...

ისე, ძვირფასო, რატომღაც საკუთარი თავის საზიანოდ გალიბერალებულო ხელისუფლებავ, ამ ჩვენს ქართულ ოცნებას გაამერიკულება ხომ არ ემუქრება?!... საქმეს, რაღაც დიდად სავალალოდ, ასეთი ცუდი პირი უჩანს...

ᲐᲚᲤᲔᲖ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ
ქ.თბილისი

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲓᲔᲖᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ „ᲜᲐᲜᲣᲙᲐᲡ ᲨᲝᲣᲨᲘ“

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡ **საქმეთა სახელმწიფო სამსახური მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. „ბატალიონ „თეთრი გიორგის“ მებრძოლების განცხადება წინა კვირას ტელეარხ „რუსთავი-2“-ზე ჟურნალისტმა ნანუკა ჟორჟოლიანმა თავის შოუში გამოიყვანა ქალაბატონი მედეა იმნაიშვილი. ინტერვიუში ამ ქალბატონმა საზოგადოებას მოუთხრო თავისი ცხოვრების ისტორია, თუ როგორ ომობდა იგი აფხაზეთის ომში „თეთრი გიორგის“ ბატალიონის რიგებში, როგორ ჩავარდა ტყვედ. როგორი მებრძოლი იყო და როგორ დაწვეს ომის შემდეგ მისი საბუთები ეროვნული გვარდიის სამმართველოში, რის გამოც, მას დღემდე არა აქვს ვეტერანის სტატუსი და სახელმწიფო მას არანაირ ყურადღებას არ აქცევს, როგორც ომის ვეტერანს. ამ ტელეგადაცემამდე ამ ქალბატონთან ინტერვიუ დაიბეჭდა გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (06.05.2015),**

ჟურნალისტ სალომე გოგოხიას მიერ. სადაც იგი იმავე ამბებს ჰყვებოდა. ორივე სიუჟეტის მიხედვით საზოგადოებას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს არ აინტერესებს ომის ვეტერანთა ბედი და ასე უპატრონოდ ჰყავს მიტოვებული ტყვეობაში ნამყოფი ომის გმირი.

გვინდა, განვაცხადოთ შემდეგი: ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისთვის ამ ქალბატონს არასდროს მიუმართავს თავისი სტატუსის დასაკანონებლად. ეს ქალბატონი არასდროს ყოფილა „თეთრი გიორგის“ ბატალიონის წევრი. ამას ადასტურებს „თეთრი გიორგის“ ბატალიონის ყველა მეომარი. ეს ქალბატონი არასდროს ყოფილა შეიარაღებული ძალების არც ერთი სამხედრო ნაწილის წევრი და არასდროს მიუღია მონაწილეობა არც ერთ საბრძოლო მოქმედებაში საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ქალბატონი არის ავად ძალიან სერიოზული ფსიქოდაავადებით, რასაც ტყუილების მანია ჰქვია. მას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდნენ, თუმცა, უშედეგოდ. ამას ადასტურებს მისი უახლოესი ნათესავი, ეროვნული გვარდიის „თეთრი არწივის“ ბრიგადის დაზვერვის სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე, თადარიგის ვიცეპოლკოვნიკი თამაზ იმნაიშვილი. მას შემდეგ, რაც ეს სიუჟეტები გავიდა ბეჭდურ და ციფრულ მედიაში. ნანუკა ჟორჟოლიანსაც და სალომე გოგოხიასაც დაუკავშირდნენ „თეთრი გიორგის“ ბატალიონის მეომრები და ვიცეპოლკოვნიკი თამაზ იმნაიშვილი. ორივე ჟურნალისტს აუხსნეს არსებული მდგომარეობა და სთხოვეს შეცდომის გამოსწორება. ცალსახად ვაცხადებთ, რომ საზოგადოება არის შეცდომაში შეყვანილი, რაც ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელობის, მისი თანამშრომლებისა და ომის ვეტერანთა კორპუსის დისკრედიტაციასა და იმიჯის შელახვას იწვევს“, – ნათქვამია განცხადებაში.

„აშკარაა, რომ მურუსიძე ხელს უშლის სასამართლოს დამოუკიდებლობას“

სასამართლო სისტემის წინაშე არსებული გამოწვევები იყო ის მთავარი მიზეზი, რატომაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ინიციატივით, მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა გაიმართა. ლევან მურუსიძის განცხადებით, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსებმა სასამართლოს შესახებ აზრის გამოხატვის დროს სიფრთხილე გამოიჩინონ.

მთავრობის ხელმძღვანელის განცხადებით, მთავრობისთვის მთავარია, გაგრძელდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სასამართლოს დამოუკიდებლობა არის ამ ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი, რასაც ბოლო ორი წლის განმავლობაში მიაღწიეს.

რა გამოწვევების წინაშე დგას ქართული მართლმსაჯულება და რა გადაწყვეტილება აქვს მიღებული ლევან მურუსიძეს, რომელსაც სამართალთან კავშირი არა აქვს? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge სამართალმცოდნე მინდია უგრეხელიძეს ესაუბრა.

— ბატონო მინდია, რამდენად ეთანხმებით პრემიერის განცხადებას, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა არის ამ ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი? შეიძლება ითქვას, რომ დღეს სასამართლო დომოუკიდებელია?

— უნდა გითხრათ, რომ მართლაც ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ძალიან დიდი ნაბიჯები გადაიდგა ამ კუთხით და თუ თქვენ გაესაუბრებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, დარწმუნებდით, რომ მართლაც სერიოზულმა ამბებმა მოიყარა თავი. პირადად მე გამიჩნდა იმედი, რომ შეიძლება მართლაც რაღაცა გვეშველოს. რაც შეეხება ლევან მურისიძეს, რომელიც როგორც თქვენგან გავიგე, პრემიერ-მინისტრს შეხვდა, მისი არაფერი მწამს, იმიტომ, რომ ის არის სრული გაუგებრობა. გაუგებარია საერთოდ როგორ ლაპარაკობს. მურუსიძე, რომ ხელს უშლის სასამართლოს დამოუკიდებლობას, ეს აშკარაა.

— ხელის შეშლა რაში გამოიხატება, როგორ უშლის ხელს მურუსიძე სასამართლოს დამოუკიდებლობას?

— ერთ მაგალითს მოგიყვანთ, ამას წინათ იყო ლაპარაკი, რომ სასამართლოში უნდა შემოეღოთ ე.წ. ინსპექტორის თანამდებობა, რომელიც გააადვილებდა მოსამართლეების ანგარიშვალდებულების საკითხის მოგვარებას. ეს ინსტიტური ევროპის ბევრ ქვეყანაშია, ძალიან უხეში შედარებით, ეს არის იგივე ომბუდსმენი. როდესაც მურუსიძე და სხვები ამის წინააღმდეგ გამოდიან, ეს ნიშნავს, რომ მათ არანაირი წარმოდგენა არა აქვთ იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს დამოუკიდებლობა და რაოდენ აუცილებელია, რომ მის საპირწონედ არსებობდეს ანგარიშვალდებულება, აი, ამაზეა ლაპარაკი.

— პრემიერთან შეხვედრის შემდეგ, ლევან მურუსიძემ აღნიშნა, რომ მისი ინტერესია სასამართლო იყოს დამოუკიდებელი და ძლიერი. ის ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსებმა სასამართლოს შესახებ აზრის გამოხატვის დროს გამოიჩინონ სიფრთხილე...

— სასამართლო არ ერევა პოლიტიკაში, მაგრამ იგი ქმნის პოლიტიკას. სასამართლო არის პოლიტიკის მკეთებელი ორგანო და თუკი სასამართლო არის პოლიტიკის მკეთებელი ორგანო, მაშინ როგორ აპირებს ეს ხალხი არავითარი შეფასება არ მიეცეს იმას, როგორი პოლიტიკა შექმნა ამ სასამართლომ, კარგი თუ ცუდი? ეს ვერ წარმომიდგენია. სხვა საკითხია ის, რომ სანამ კონკრეტული საქმე იხილება, სასურველია, ამ შემთხვევაში თავშეკავებულები ვიყოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არაფერი არ ვთქვათ. მაგრამ ის, რომ პოლიტიკოსებმა და პოლიტიკურმა ჯგუფებმა მისცენ შეფასება და თქვან, რომ სასამართლო პოლიტიკა რომელიც ტარდება, კარგია ან ცუდია, ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ცხოვრება და ამის შეზღუდვა ან აკრძალვა, მხოლოდ გონებაშეზღუდულ ადამიანებს შეუძლიათ.

— სასამართლო სისტემის რეფორმა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ნინო გვენეტაძეს ღიად დაუპირისპირდა ლევან მურუსიძე და აღნიშნა, რომ ის ეწინააღმდეგება ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღებას, რომლის ინიციატორიც უზენაესი სასამართლოა. პრემიერის განმარტებით, მურუსიძისგან მოისმინა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან განსხვავებული ის შეხედულებები, რომელიც სასამართლო სისტემის რეფორმის მორიგ ტალღასთან დაკავშირებით აქვს. რითი ხსნით მურისიძის პოზიციას სასამართლო სისტემის რეფორმასთან მიმართებაში?

— ბუნებრივია, რომ პირველი პირი ასე უნდა ლაპარაკობდეს. პირველ პირს მართებს ტაქტიანად თქვას, ეს არაფერს არ ნიშნავს, მაგრამ მე პირადად ვიცნობ რა მურუსიძეს და მისნაირი შეხედულების ადამიანებს, საერთოდ ძნელად წარმოსადგენია მურუსიძის პირიდან რამე სიკეთის მომცემი განცხადების მოსმენა და ამას გეუბნებით ყოველგვარი მორიდების გარეშე. ეს არის ცოდვილი ხალხი, ცოდვაში აქვთ ფეხი ნადგამი და რა უფლებით ლაპარაკობენ, ან რა უფლებით ელაპარაკებიან ვინმეს, ეს ჩემთვის გაუგებარია.

რა უნდა ელაპარაკო მურუსიძეს, რომელსაც ისეთი გადაწყვეტილებები აქვს მიღებული, რომელსაც არავითარი კავშირი სამართალთან და სამართლიანობასთან არ აქვს. პირდაპირ გეუბნებით, იმდენად ოდიოზური პიროვნებაა მურუსიძე, რომ სერიოზულად ვერ აღვიქვამ მის ვერც ფიგურას და ვერც აზროვნებას. ახლა მე თქვენ გეკითხებით, რატომ აუხირდნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ინსპექტორის თანამდებობის შემოღებაზე?

— ფაქტია, რომ ეს ინსტიტუტი გახდა გვენეტაძის წინააღმდეგ გალაშქრების ერთ-ერთი მიზეზი....

— რა უნდათ ნინოსგან, ვერ გავიგე. მინდა გითხრათ, რომ მისი ოპონენტი ვიყავი. მან თავისი შრომით და ცოდნით მიაღწია ყველაფერს. ესენი ყველანი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე არიან დაწინაურებულები. ნინომ მხარი დაუჭირა სასამართლო რეფორმის დაჩქარებას, რომ დროზე ჩამდგარიყო საქმე კალაპოტში. თუკი ევროპას აქვს რეფორმის უფლება, რატომ არ აქვს ამის უფლება ქართულ მართლმსაჯულებას და როდის შევა ეს მურუსიძის დაღუპულ თავში?!

— სწორედ ამაში მდგომარეობს ოპონენტების პრეტენზია, რომ მიუღებელია რაიმე სახით სასამართლოს კონტროლი...

— ეს კონტროლი იცით, რას ნიშნავს? — ინსპექტორი თუ შენიშნავს რაიმე საეჭვოს იტყვის, მაგრამ გადაწყვეტილებას იღებს თვითონ მურუსიძე და მისი საბჭო. ე.ი. ესეც კი არ უნდა მურუსიძეს. არსებობს მოსამართლეების სადისციპლინო კომისია, სადაც ერთ-ერთი ჩემი მოსწავლე მოღვაწეობს, ვკითხე რამდენი მოსამართლის საქმე განიხილა სადისციპლინო კომისამ-მეთქი და მითხრა, რომ ორი წელია, საქმე არ მოსულა იუსტიციის უმაღლესი საბჭოდანო და თუ არ მოვიდა, როგორ უნდა განვიხილითო.

> **კუბლაშვილმა და მურუსიძემ დაიფიცესო, სანამ ჩვენ ცოცხალი ვართ, ვერ მოესწრებით იმას, რომ ჩვენს მოსამართლეებზე საქმე იყოს აღძრულიო, ამით ყველაფერი გასაგებია. იმისთვის, რომ არ შეიქმნას დოკუმენტი, რომ მათ ცუდი მოსამართლეები ჰყავდათ.**

კუბლაშვილმა და მურუსიძემ დაიფიცესო, სანამ ჩვენ ცოცხალი ვართ, ვერ მოესწრებით იმას, რომ ჩვენს მოსამართლეებზე საქმე იყოს აღძრულიო, ამით ყველაფერი გასაგებია. იმისთვის, რომ არ შეიქმნას დოკუმენტი, რომ მათ ცუდი მოსამართლეები ჰყავდათ, საქმეს არ აგზავნიან მოსამართლეთა სადისციპლინო კომისიაში. სხვათა შორის, მეცოდება ეს მოსამართლეები, ყველას უსმენდნენ და რა ქნან იმ საწყლებმა, დაშინებული არიან და სანამ ცოცხლები არიან, იკანკალებენ.

აიღეთ სტატისტიკური მონაცემები, მურუსიძის მუშაობის პირობებში რამდენი განცხადება შევიდა მოსამართლეების წინააღმდეგ და აქიდან რამდენი გადაუგზავნა სადიციპლინო კომისიას. როგორც გითხარით, არც ერთი განცხადება არ არის გადაგზავნილი. ამით ყველაფერი ნათქვამია.

მათ უნდათ, რომ მათ მიერ მექრთამეობაში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მონობაში გაწვრთნილი მოსამართლეები არავის წინაშე არ იყვნენ ვალდებული.

— მექრთამეობა ახსენეთ, შესაბამისად მინდა, გკითხოთ, ბატონმა ლევან მურუსიძემ გააკეთა განცხადება სასამართლოში კორუფციის რისკებზე. კორუფციის რისკის წინაშე დგას სასამართლო?

— კორუფციის რისკები მით უფრო გაიზრდება, რაც უფრო ნაკლები იქნება კონტროლი მოსამართლეებზე. მურუსიძე თუ ამბობს, რომ არ გვჭირდება ადამიანი, რომელიც ჩასაფრებული იქნება ამაზე, რომ მსგავსი არაფერი მოხდეს, რა თქმა უნდა, გაიზრდება ეს ამბები. კორუფციის რისკი ყოველთვის არის, მაგრამ არ მგონია, რომ დღეს იყოს. კიდეც, რომ გაჩნდეს კორუფციის რისკი, არ ვიცი, რითი შეიძლება იყოს ეს ნაკარნახევი. როდესაც იუსტიციის საბჭოში მურუსიძე და მისნაირები არიან და სანამ მოსამართლეებზე ერთხელაც არ აღიძრება დისციპლინური დევნის საკითხი, რა თქმა უნდა, იზრდება კორუფციის რისკი. ამ რისკის შემომქმედი არის თვითონ მურუსიძე. ნეტა თვითონ მურუსიძე მირეკავდეს, იგივე ვეტყოდი, ოღონდ ცოტა უფრო გაბრაზებული.

თამთა ქარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

მალე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ბიზნესი განვითარდება

ENPARD და მისი პარტნიორი ორგანიზაცია „მერსი ქორფსი“ კოოპერატივებისთვის ბიზნესის განვითარების პროგრამას იწყებს. აღნიშნული პროგრამა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ბიზნესის განვითარების მხარდაჭერას ითვალისწინებს.

პროექტით სარგებლობა შეეძლებათ იმ რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც ფუნქციონირებენ პროგრამის სამიზნე მუნიციპალიტეტებში, კერძოდ, საჩხერეში, ჭიათურაში, ვანში, სამტრედიაში, ქარელში, ხაშურში, კასპში, გორში, საგარეჯოში, გურჯაანში, ყვარელში, მარნეულში, გარდაბანში, თეთრიწყაროში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში.

ბიზნესის მხარდასაჭერ პროექტში მონაწილეობის მისაღებად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს უნდა გააჩნდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი, უნდა ფუნქციონირებდეს ზემოთაღნიშნულ ერთ ან რამდენიმე მუნიციპალიტეტში და უნდა ჰქონდეს მინიმუმ 15% თანხობრივი (ნაღდი ფულით) და 15% არათანხობრივი თანამონაწილეობის შესაძლებლობა ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში. პროექტის საინვესტიციო ფონდი 15 000 ევროს შეადგენს და ის გადანაწილდება კონკურსში გამარჯვებულ კოოპერატივებზე. აღნიშნულ ინიციატივაში მონაწილეობა არ იძლევა ფინანსური მხარდაჭერის გარანტიას. საინფორმაციო შეხვედრები კოოპერატივებთან 22 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

წაგვადგება ავსტრიული კომპანიების გამოცდილება

ავსტრიული კომპანიები საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩაერთვებიან, — ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში განაცხადეს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი გიორგი შუხოშვილი ავსტრიის ტრანსპორტის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სამინისტროსა და ავსტრიული ინფრასტრუქტურული კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე სტუმრებს სამინისტროს მიერ დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები გააცნეს. ავსტრიელებმა ქართველ კოლეგებს საკუთარი საქმიანობის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. ისაუბრეს თავიანთი გამოცდილების შესახებ წყალმომარაგებისა, მყარი ნარჩენების მართვის სფეროში და საქართველოში დაგეგმილ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

აღნიშნული შეხვედრა იმ მემორანდუმის საფუძველზე შედგა, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ავსტრიის ტრანსპორტის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ფედერალურ სამინისტროს შორის, ავსტრიის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, მიმდინარე წლის მაისში გაფორმდა.

რიგითმა სპეცრაზმელებმა მამხილებელი ჩვენება მისცეს

— და განაცხადეს, რომ ბოლო წუთამდე სპეცოპერაციის შესახებ, რომლის დროსაც ვაზაგაშვილი და ხუბულოვი დაიღუპნენ , ინფორმაციას არ ფლობდნენ, — ამის შესახებ დახურული სასამართლოს სხდომის შემდეგ საქმის პროკურორმა და ადვოკატმა განაცხადეს. ბრალდებულების ადვოკატ იაგო სოხაშვილის თქმით, სპეცრაზმელებმა სიმართლე თქვეს რაც მოხდა სპეცოპერაციის დროს. მისივე თქმით, ბრლადებულების ჩვენება იდენტური იყო იმ 3 ბრალდებულის ჩვენების, რომლებმაც წინა სხდომაზე ჩვენება მისცეს. ადვოკატის ინფორმაციით, დღეს დაკითხულმა ოთხმა რიგითმა სპეცრაზმელმა თავისი როლი აღწერა სპეცოპერაციაში. „ეს იყო მამხილებელი ჩვენება“, — განაცხადა იაგო სოხაშვილმა. ჟურნალისტების შეკითხვაზე, იყო თუ არა უკანონო დავალება, რომელიც სპეცრაზმელებს სპეცოპერაციის დროს ხელმძღვანელებმა მისცეს, ადვოკატი პასუხისგან თავს იკავებს, თუმცა აცხადებს, რომ მოვა დრო, როცა ყველაფერი ნათელი გახდება. საქმის პროკურორმა ამირან გულუაშვილმა აღნიშნა, ბრალდებულთა ჩვენებების თანახმად, მათი გამოყვანა სპეცოპერაციაზე და შემდეგ მასში მონაწილეობა ემსახურებოდა მათი მხრიდან ბრძანების შესრულებას.

„დეტალებს ვერ ვიტყვი, რადგან დახურული პროცესი იყო, თუმცა მათი ჩვენება რადიკალურად განსხვავდება იმ სურათისგან, რაც 2006 წელს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ საზოგადოებისთვის იქნა მიწოდებული. ბოლო წუთამდე რიგითი სპეცრაზმელებისთვის ისიც კი არ იყო ცნობილი, რა ღონისძიებაში იღებდნენ მონაწილეობას. მათი გადაწყვეტილება ცეცხლის გახსნასთან დაკავშირებით მათი ხელმძღვანელი პირების მიერ მიღებულ ბრძანებას ემსახურება“, — განაცხადა პროკურორმა.

ინტერპრესი

გაუპატიურებული კაცობა და ქართველი დემო(ტ)რაკები

სათაურში **გამოტანილი ტერმინი „დემოტრაკები“, ალბათ, ეხამუშა კიდეც ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე აღზრდილ ჩვენი გაზეთის მკითხველს, მაგრამ იმ მოვლენის დასახასიათებლად, რაც „დემოტრაკიის“ ცნებაში მოიაზრება, სხვა უფრო შესაფერისი ტერმინი არ მეგულება. იგი ქართულ მედია-სივრცეში შესანიშნავმა პუბლიცისტებმა დავით მხეიძემ და ბაკურ სვანიძემ შემოიტანეს და დაამკვიდრეს კიდეც. მე არ ვიცი, რომელმა მოიფიქრა იგი პირველად, რადგან ჩემთვის ერთ-ერთ ფრიად საპატივცემულო გაზეთის ერთსა და იმავე ნომერშია დაბეჭდილი მათი სტატიები, რომლებშიც პირველად გაჟღერდა „დემოტრაკია“...**

აბა, მითხარით, ერთი, რა შეიძლება ეწოდოს იმ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობასა და ზნეობრივ იდეოლოგიას, რომლის პრეზიდენტი მთელი კაცობრიობის წინაშე აცხადებს, ჩემი უმთავრესი მიზანი ერთსქესიანთა ქორწინების („კაცი კაცთანა, კაცოო!“) დაკანონება იყო და მე დღეს ბედნიერი ვარ, რომ ეს მიზანი ჩემს სახელმწიფოში მიღწეულიაო. ის კი არ იყო ჩემი მიზანი, სიღატაკესა და შიმშილს შევჭიდებოდი, რომელიც ნახევარ მსოფლიოში მძვინვარებს, არამედ ის, კაცის კაცთან ჟიმაობა კანონიერ და ღირსეულ საქციელად ჩათვლილიყოო.

იმ ქვეყნის მეორე კაცმა, სახელმწიფო მდივანს რომ უწოდებენ, „დაგვაიმედა“: ეს ჩვენი მაგალითი მთელმა მსოფლიომ უნდა გაიზიაროს და ჩვენ ვიზრუნებთ ამაზეო.

ჰო, და თუ ეს არის დემოკრატია, მაშინ იმას რა ჰქვია, ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში, საბერძნეთში რომ დაამყარა პერიკლემ, მისი ცნობილი რეფორმების საშუალებით („დემოკრატიაც“ სწორედ ბერძნული წარმომავლობის ტერმინია!). ან ის მმართველობის რა ფორმა იყო, ოლივერ კრომველმა რომ დაამყარა ინგლისში, თავისი პოლიტიკური ზეობის პირველ პერიოდში?

„დემოკრატია“ იყო ის, რაც იმ დიდმა კაცებმა უჩვენეს და გამოცდილების სახით დაუტოვეს კაცობრიობას, ხოლო ის, რასაც ასე აგრესიულად და ზღვარგადასული აქტიურობით ამკვიდრებს დასავლური ლიბერასტული იდეოლოგია, სწორედაც რომ „დემოტრაკიაა“.

ჭირი მოიწევს კი არა, მოსულიც არის! დაკანონებაღა აკლია მხოლოდ! დაკანონებას რაღა შეუშლის ხელს, ნეტავი? ის ქართული გულარხეინობა ხომ არა, რაც ათადანბაბადან მოგვდგამს. პედერასტები ცოტანი არიან, უმრავლესობა ჩვენ ვართ და რას გვიზამენო, – ფიქრობენ გულარხეინი ქართველები.

ჰო, აბა! კანონის სახით განა ცოტა რამე მოუხვევიათ ჩვენთვის თავზე ისეთი, უმრავლესობას რომ არ უნდოდა? მოგვახვევენ ახლაც, თუ ფხიზლად არ ვიქნებით, რადგან ის ჩათლახები ცოტანი არიან, მაგრამ გაერთიანებულნი, ზნეობრივი ადამიანები კი – გათითოკაცებულნი. ისინი ერთი ძუძუთი არიან გამოზრდილნი, ახლაც იმ გამზრდელის ძუძუ უდევთ პირში. ამიტომ არიან აგრესიულად სოლიდარულები დემოტრაკიის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში.

ამ ბოლო ხანებში, საყოველთაო ზნეობრივი თუ ეკონომიკური გაჭირვების ჟამს, ერთი სასიკეთო ამბავი ჩვენშიც მოხდა, როგორც იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“: ქართველმა დემოტრაკებმა საბოლოოდ ჩამოიხსნეს ნიღბები და ვიცით უკვე ვინ ვინ არის! როცა იცი საფრთხე საიდან და როგორ მოდის, ის უკვე, თუ ბრიყვი არ ხარ, იმდენად საშიში აღარ არის.

ქართველი დემოტრაკების სრული ლუსტრაცია გამოიწვია ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებამ აშშ-ის ყველა შტატში და ამასთან დაკავშირებით საქართველოში გაკეთებულმა განცხადებებმა იმის თაობაზე, რომ „სტრატეგიული პარტნიორობის“ მიუხედავად, ამერიკის პედერასტული გამოცდილების ჩვენში გადმონერგვას არ დავუშვებთ. რა კანონებიც უნდა მიიღოს აშშ-ის კონგრესმა და რა გადაწყვეტილებებიც უნდა გამოიტანოს მათმა უზენაესმა სასამართლომ, ჰომოსექსუალიზმი ნორმალური მოვლენა არ არის, რადგან იგი ბუნების კანონების საწინააღმდეგოა, ანომალიაა. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჰომოსექსუალი მაინცდამაინც უნდა დავსაჯოთ. არა! მას უნდა დავეხმაროთ, თუ საამისო სურვილი აქვს, თუ არა და ჩუმად, სხვათა თვალთაგან შორს, რაც უნდა ის ქნას, მხოლოდ ძალადობისა და შეცდენის გარეშე!.

ეს არის ცივილიზებული, ჰუმანური, დემოკრატიის ერთგული ადამიანის კრედო, მაგრამ ქართველი დემოტრაკები ასე როდი ფიქრობენ...

აი, მაგალითი იმისა, ძია სემის ძღვენით გათავხედებული ქართველი დემოტრაკები რას ბედავენ, როგორ ემუქრებიან მსახიონ მიშა გომიაშვილს, რომელიც, ბევრისგან განსხვავებით, ღიად აფიქსირებს თავის კაცურ პოზიციას. **„მოვუწოდებთ ყველა დამსაქმებელს, – წერენ დემოტრაკები, – დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ბატონ გომიაშვილთან ყოველგვარი თანამშრომლობა იქამდე, სანამ ის არ გააცნობიერებს საკუთარი ლგბტ კოლეგების წინააღმდეგ გადმონთხეული სიძულვილის მავნებლობას.**

წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიზრუნებთ იმაზე, რომ მისი ნებისმიერი დამსაქმებლისათვის ამიერიდან შეუძლებელი გახდეს ჰომოფობი დასის წევრებთან ერთად „გარყვნილ დასავლეთში“ გასტროლებით ტკბობა. ამიერიდან, ბატონ გომიაშვილსაც შეეძლება მსხვერპლად წარმოაჩინოს თავი“.

ვისი იმედით იმუქრებიან ეს მახინჯები? გაღმელი ძიების იმედით, არა? აბა, ჩვენ ვინღა ვგდივართ და გვაქვს კი უფლება არსებობისა, თუ ეს ვიგინდარები და უცხოქვეყნელთა ძღვენჭამიები, ჩვენს დაშანტაჟებას ცდილობენ. მიშა გომიაშვილისა და სხვა მისნაირთა მიმართ გამოთქმული მუქარა, ყველა ჩვენგანისაკენ მიმართული მუქარაა და ამას უნდა შევეგუოთ? არა! მათ მე ასე შევუძახებ, დათასავით: თქვენ რომ დაემუქრებით და თქვენი რომ შეეშინდება, ის ხალხი არა ვართ ჩვენ, თქვე წუპაკო დემოტრაკებო!

ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ძღვენიჭამია (გრანტიყლაპია) არასამთავრობო ორგანიზაციებთან (რომლებსაც მე ერის სხეულზე მისეულ მკბენარებს ვუწოდებ!) ერთად, ჩვენში ისეთებიც არიან, რომლებიც თითქოს ეროვნულ ინტერესებს იცავენ და თან ირიბად დემოტრაკიასაც ეკეკლუცებიან. აბა, რა განცხადებაა ეს, რომელსაც ბევრი ჩვენი „წესიერი“ პარლამენტარი და პარლამენტს გარეთ მყოფი მოღვაწე აკეთებს: „არა, ჩვენ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას მხარს არ დავუჭერთ. ჩვენი საზოგადოება ჯერ ამისათვის მზად არ არის“-ო. ჯერო! ანუ რაო? მე იმიტომ არ დავუჭერ მხარს, რომ ჩვენი საზოგადოება საამისოდ არ არისო მზად, თორემ, მე კაი ხანია, მომწიფებული ვარო. დემოტრაკიის მიმდევრობა სხვა კი არაფერია, პატივცემულო დეპუტატებო და სხვებო! ამას წინათ, სრულიად სამართლიანად გირჩიათ ბატონმა თამაზ წივწივაძემ: **„თუ შეიძლება, ტრაკი დააყენეთ, ძვირფასო დეპუტატებო, ოღონდ კენჭისყრაზე კი არა... შარვალში!“** დაუჯერეთ, ამ რჩევას, მამაჩემს აქვს ცხონება, თორემ ერთხელაც იქნება საზოგადოება გაგაგებინებთ, როგორი მოუმზადებელია იგი.

ამას წინათ, ერთ-ერთი პოპულარული ქართული გაზეთი თავის მუდმივ ექსპერტ-ფილოსოფოსს საგაზეთო ინტერვიუში ეკითხება: აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინება რომ დააკანონეს, ამან ჩვენში ანტიამერიკული განწყობების გააქტიურება გამოიწვია და ეს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობაზე ხომ არ იმოქმედებსო. კიო, – იმ „ფილოსოფოსმა“, ეს პუტინისტური ძალების გააქტიურებაა. რუსული პროპაგანდა, რა თქმა უნდა, სათავისოდ გამოიყენებს აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებისადმი ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის ტრადიციონალისტურ განწობებსო. ეს აზრი იყო მის ნათქვამში, რომელიც ბრჭყალებში იმიტომ არ ჩავსვი, რომ მეტი საქმე არ მაქვს, ახლა მისი ნაბეჭუტურევი სიტყვასიტყვით გადმოვცე.

მაინც რა მინდაო, იმ ფილოსოფოსმა, როგორია ჩემი ანალიტიკური ჭკუის შემფასებლური დასკვნაო? როგორი და, კაცის კაცთან ჟიმაობა თუ ნორმალურ საქციელად არ მიგაჩნია, მაშინ პუტინისტური პროპაგანდის ტყვეობაში ხარ მოქცეულიო, ხოლო თუ ამ სიბინძურის დაკანონებას ტაშისკვრით ხვდები და იმასაც ნატრობ, ახ, ნეტავი ეს ხმა ტკბილი, გამაგონა ჩემს მამულშიო, მაშინ ხარ დემოკრატი და, მაშასადამე, ევროპელიო.

ეს ჩემის ფილოსოფოსი იმას ვერ ხვდება, რომ კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციები ადამიანის გულსა და გონებაში გადის და არა ტრაკზე? ხვდება, ალბათ, მაგრამ ისიც უცხოური ძღვენის ჭამაზეა დაგეშილი და ამიტომაც უკმევს გუნდრუკს დემოკრატიას. ისიც იცის, ალბათ, რომ ის უზნეობა, რამაც დასავლური სამყარო მოიცვა, წარმავალია, უკვალოდ გადაშენდება და თან გაიყოლებს მოუსავლეთში თავის ერთგულ მიმდევრებს, როგორც ეს რომსა და ბიზანტიას დაემართა, ბევრ სხვასთან ერთად, მაგრამ ამ დემოკრატიის აქაურ თუთიყუშს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია და მისი „ფილოსოფიური“ თავი იმაზე ვეღარ ფიქრობს, ეს კვერცხი ქათმის არის თუ ბუსი. ისე არჩევანზე თუ მიდგა საქმე, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ დემოტრაკები ბუს კვერცხებს ამჯობინებენ ქათმისას.

კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, ჯერ ჭკუას გამოაცლისო, – ნათქვამია. დღევანდელ სამყაროში ისე აირია ყველაფერი, ისე ათქვიფა ერთმანეთში ზოგადსაკაცობრიო და საბაზრო ღირებულებები, რომ აგერ ნახსენები ანდაზის ჭეშმარიტებაში ეჭვს ვეღარ შეიტანს კაცი. განვითარებადი აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს პრეზიდენტმა ერთსქესიანთა ქორწინების ანუ კაცთან კაცის ჟიმაობის დაკანონებით აღფრთოვანებულ უგანვითარებულესი და უძლიერესი სახელმწიფოს პრეზიდენტს წერილობით, მსოფლიოს გასაგონად, მიმართა ცოლად გამომყევიო, ანუ შენი გაჟიმვა მწადიაო. ამ სარკასტული ხუმრობით მან თავისი და თავის თვისტომთა კაცობა და ვაჟკაცობა უჩვენა მსოფლიოს, ხოლო ევროპის უგანვითარებულესი და დიდი ისტორიის მქონე სახელმწიფოში რაინდის წოდება და ლორდის ტიტული მიანიჭეს კაცს, რომელმაც კაცი შეირთო ცოლად (თუ ქმრად!). მართალია ის კაცის ქმარი, თუ ცოლი, კარგად მღერის, მაგრამ საამისოდ არსებობს მაღალი ჰონორარები და მქუხარე აპლოდისმენტები. რაინდობა რა შუაშია, ნეტავი? ამ ქვეყნის ისტორიული შვილები – რიჩარდ ლომგული, ოლივერ კრომველი ან ადმირალი ნელსონი რომ ცოცხლები იყვნენ, სამეფო ტახტს ვერ შერჩებოდა მისი ვერც ერთი მემკვიდრე. ასე იქნებოდა ეს, უეჭველად!

ერთსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგეებს ჰომოფობებს (კაცთმოძულეებს!) უწოდებენ ეს ნაძირალა დემოტრაკები. როგორც ამას წინათ თამაზ წივწივაძემ მოხდენილად იხუმრა, **კაცის კაცთან ხახუნის შედეგად მხოლოდ ოფლის სუნი შეიძლება დადგეს, შთამომავლობა არასგზით გაჩნდებაო,** ანუ ერთსქესიანთა ქორწინება ერის გადაშენების გზაა და მათი მხარდაჭერა კაცთმოყვარეობაო? ვაი, თქვენს ახლანდელ და ყოფილ პატრონებს ლგბტ-ს აპოლოგეტო ლიბერასტებო!

ძალიან რთული და სახიფათო ვითარებაა დღეს ჩვენში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის ქვეყანა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება დაიკანონეს და დიდი ზეიმითაც აღნიშნეს ეს „ღირსშესანიშნავი თარიღი“, ჩვენი ახალაგზრდობისათვის მისაბაძი სახელმწიფოა სიმდიდრით, ცივილიზაციის დონითა და ძლიერებით. ცუდ საქმეში მიბაძვა ყველაზე მეტად ეხალისება და ხელეწიფება ადამიანს. ამასთან, სოციალური უმწიფრობის გამო, მოზარდმა თაობამ შეიძლება დაასკვნას (ძალიან დიდია ამის ალბათობა!), რომ აშშ-ის წარმატებები და ცხოვრების მაღალი დონე სწორედ ანომალიური (პათოლოგიური!) სექსუალური ორიენტაციის ადამიანების დამსახურებაა და ისინი არიან, სწორედ, მიბაძვის ღირსნი. ვისაც ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიაში რაიმე გაეგება, ეცოდინება, რომ ჰომოსექსუალიზმი არა მარტო თანდაყოლილი პათოლოგიური მდგომარეობაა, არამედ გარყვნილების შედეგიც არის, ანუ ინტოგენეზში შექმნილი თვისებაც შეიძლება იყოს. ამიტომ, ცხადია, რა რისკთანაც გვაქვს საქმე.

მეორე მიზეზი (თუ ფაქტორი!) ის არის, რომ გარკვეული ძალები ფულს არ იშურებენ ე. წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდისა და გავლენის აგენტების დასაფინანსებლად. ჩვენში (ალბათ, სხვაგანაც!) ფულზე დახარბებული ადამიანების მონახვა ძნელი როდია, „დათა თუთაშხიაში“ რომ ამბობენ ისე, „ხუთ მანეთად ფოთის პოლიცმაისტერიც კი გაიხდის“. ამ საყოველთაო ანტიადამიანური კამპანიის მიზანი ცხადია: უნდა შემცირდეს მსოფლიოს მოსახლეობა, უფრო კონკრეტულად კი, შეწყდეს გამრავლების ტემპი. დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების ეს გზა, მილიარდიან ერებს თუ სასიკეთოდ წაადგებათ, ჩვენთვის და ჩვენნაირებისათვის ხომ დამღუპველია! აცნობიერებენ ამას ჩვენი ლიბერასტები? უცხოური გრანტების, ანუ ძღვენის ჭამას რომ მიეჩვევა კაცი, ის მერე ქვეყნის პერსპექტივებსა თუ უპერსპექტივობაზე ვეღარ იფიქრებს. არც ფიქრობენ, ხომ ხედავთ?

მესამე მიზეზი ის არის, რომ რუსეთმა მიიღო კანონი ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ასი წლით აკრძალვის შესახებ. კი, მაგრამ ეგ კანონი განა ჩვენს წისქვილზე არ ასხამს წყალსო? – იკითხავს მავანი. ასხამს, მაგრამ გამოვიყენებთ მათ დასხმულ წყალს? ჩვენი ხელისუფლება ხომ რუსეთთან უბრად არის საკუთარი უჭკუობისა და „გაღმელი პატრონების“ წაქეზებით, ანუ, მუდამ ოპოზიციურ რეჟიმშია და ამ დიდ მეზობელთან. ჩვენი ოპოზიციონერობა კი ისეთია, ერთმა გურულმა რევოლუციონერმა რომ აუხსნა თავის ახლად გაპოლიტიკოსებულ გლეხ მეზობელს ერთ ქართულ სპექტაკლში: ახლადგაპოლიტიკოსებული ეკითხება უფრო სტაჟიან „პოლიტკოსს“: ქე გვითხრეს, ჩვენ ოპოზიციაში ვართ იმათთანო, მარა, რაია მაი ოპოზიცია, თუ იცი შენო. ოპოზიციაში ყოფნა იგია, ისინი რო იტყვიან „კიო“, შენ უნდა იყვირო „არაო“, იმათ თუ „არა“ თქვეს, შენ „კი“ უნდა თქვა მაშინო. აი, ასე! ახლა რუსეთუმეობა არ დამწამონო და ბევრი ჩვენი „პოლიტიკოსი“ მხარს სწორედ ლგბტ-ს ფერებად აჭრელებულ თეთრ სახლს დაუჭერს მხარს. ამნაირს „პოლიტკოსს“ თუ კითხე, პედარასტი ხომ არ ხარ შენცო, ნამეტანი იხუებს, ანუ განაწყენდება.

ისე, რომ ჩვენი ეროვნული არსებობა მთლიანად ქართველთა ახლანდელი თაობის ზნეობრივ სიმტკიცეზეა დამოკიდებული და ვინ რას იხუებს და ვის რა მოექავება, ჩვენთვის ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს უკვე.

ზურაბ ცუცქირიძე

ქართველი დემოტრაკების სრული ლუსტრაცია გამოიწვია ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებამ აშშ-ის ყველა შტატში და ამასთან დაკავშირებით საქართველოში გაკეთებულმა განცხადებებმა იმის თაობაზე, რომ „სტრატეგიული პარტნიორობის“ მიუხედავად, ამერიკის პედერასტული გამოცდილების ჩვენში გადმონერგვას არ დავუშვებთ. რა კანონებიც უნდა მიიღოს აშშ-ის კონგრესმა და რა გადაწყვეტილებებიც უნდა გამოიტანოს მათმა უზენაესმა სასამართლომ, ჰომოსექსუალიზმი ნორმალური მოვლენა არ არის, რადგან იგი ბუნების კანონების საწინააღმდეგოა, ანომალიაა. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჰომოსექსუალი მაინცდამაინც უნდა დავსაჯოთ. არა! მას უნდა დავეხმაროთ, თუ საამისო სურვილი აქვს, თუ არა და ჩუმად, სხვათა თვალთაგან შორს, რაც უნდა ის ქნას, მხოლოდ ძალადობისა და შეცდენის გარეშე!

უაზროდ მნესტრავი ბზიკის საქმე თუ ქართული ფუტკრის ფუსფუსი?

„აშშ-ის შეიარაღებული ძალები მზად უნდა იყვნენ იმოქმედონ ისეთი რევიზიონისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, როგორიცაა რუსეთი, რომელიც გამოწვევაა საერთაშორისო ნორმებისთვის, ისე, როგორც ექსტრემისტული ორგანიზაცია „ისლამური სახალიფო“. ეს და სხვა მოსაზრებები, ანტირუსული და არა მარტო, ჩაწერილია აშშ-ის ახალი ეროვნული სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტში, რომელიც შეიმუშავა აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ. მისი მიხედვით, რუსეთი პატივს არ სცემს თავისი მეზობლების სუვერენიტეტს და ძირს უთხრის რეგიონულ უსაფრთხოებას.

რუსეთის ხელისუფლებას, ესოდენ მკაცრი შეფასების შემდეგ, ისღა დარჩენია გული დაიმშვიდოს იმით, რომ მსგავსი ეპითეტებით შემკობილია ირანი, ჩრდილოეთი კორეა და ჩინეთი.

ირანთან მიმართებაში აღნიშნულია შემდეგი: „ირანის ბირთვული პროგრამა იწვევს რეგიონში და მის გარეთ აშშ-ის მოკავშირეების შეშფოთებას. ირანი ასპონსორებს ტერორისტულ დაჯგუფებებს რეგიონში და აქტიურობს სირიის, ერაყის, იემენის, ლიბანის მიმართულებით. მაინც რა ამერიკულ აბრაკადაბრასთან გვაქვს საქმე? ერთის მხრივ – სამხედრო დოქტრინის გამკიცხავი მოსაზრება და მეორეს მხრივ – ვენაში მიმდინარე მოლაპარაკება ირან-„ექვსეულს“ შორის.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კორეას, ის არის კანონგარეშე სახელმწიფო. მან დაამზადა ატომური ბომბი და ამზადებს რაკეტებს, აშშ-მდე მისაღწევად.

ჩინეთი სხვა კატეგორიის სახელმწიფოა, მაგრამ ისიც წარმოადგენს საფრთხეს აშშ-სთვის. ჩინეთის მოქმედება სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში იწვევს აშშ-ის შეშფოთებას.

აშშ-ის სამხედრო დოქტრინის მიხედვით, ზემომოყვანილი ქვეყნები ისე, როგორც გუშინ, დღესაც და ხვალაც „აშინებენ“ აშშ-ს და აიძულებენ მას გადადგას შესაბამისი სამხედრო ნაბიჯები – გაზარდოს სამხედრო მშენებლობა, გააძლიეროს ევროპაში მისი მოკავშირეების თავდაცვისუნარიანობა და ამ მიზნით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განათავსოს არა მარტო მძიმე სამხედრო ტექნიკა, არამედ მომსახურე სამხედრო პერსონალიც. ცხადია, სამხედრო პერსონალის შენახვის ხარჯებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბიუჯეტები გაიღებენ.

სულ ახლახან, აშშ-მა გამოსცადა ბირთვული ბომბი, მაგრამ ბირთვული ქობინის გარეშე. მიზანი ძველი ბომბის გამოცდისა, არის სიზუსტე. B-61 სახის ძველი ბომბის სიზუსტე 100 მეტრს შორდებოდა. გამოცდის მიზანი იყო მისი შემცირება 30 მეტრამდე. ეს ბომბი შეიძლება გამოყენებულ იქნას მიწაში ღრმად მდებარე ობიექტების გასანადგურებლად. გეგმის მიხედვით, ამ ბომბებით აღჭურავენ ევროპაში განთავსებულ მეხუთე თაობის ე.წ. უხილავ თვითმფრინავებს. მათი მიზნამდე მიღწევა (რუსეთის ობიექტები) 15-20 წუთით შემოიფარგლება.

ანტირუსული ისტერიის აგორების წყალობით ოფიციალურმა ვაშინგტონმა შეძლო იმ გეგმის განხორციელება, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ქმნიდა და რომლის მიზანია რუსეთის საზღვრებთან აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ძალების განლაგება. პროპაგანდისტული მანქანის ამუშავებით, აშშ-მა შეძლო მსოფლიოს დარწმუნება რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მან შეძლო მარიონეტული აღმოსავლეთ ევროპული ხელისუფლებების ანტირუსულად აყვირება – „მგელი მოდის, გვიშველეთ, არ შეგვჭამოსო“ და „შინაბულთა“ დასამშვიდებლად მძიმე სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო პერსონალის განლაგება აღმოსავლეთ ევროპაში.

აშშ-ს აშკარად არ მოსწონს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი – ერთი მარტივი მიზეზის გამო – მისი იოლად დაყოლიება უჭირს. პუტინს აქვს მტკიცე პოზიცია რუსეთის სუვერენიტეტთან დაკავშირებით, რაც კიდევ ერთხელ დააფიქსირა უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომაზე, როდესაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი სუვერენიტეტით არ ვაჭრობს. ამ სხდომაზე მან ისიც თქვა, რომ დასავლეთის ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ კარგა ხანს გაგრძელდება, რისთვისაც საჭიროა ძალთა მობილიზება, ეს კი უპირველესად სამხედრო ძალების მოდერნიზაციაში გამოიხატება.

ასე და ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დასრულების 70-ე წლისთავზე მსოფლიომ მიიღო ურთიერთთან აგრესიულად დაპირისპირებული მხარეები, გამალებული შეიარაღების პროცესი, ეკონომიკური შუღლი, უკიდურესობამდე მისული საინფორმაციო ომი. ცხადია, ესოდენ დაძაბულ ვითარებაში ნებისმიერ საღად მოაზროვნეს რომ დაებადოს კითხვა მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების თაობაზე, სულაც არ არის გასაკვირი. მაგრამ გადადგამენ ამ ნაბიჯს მოსკოვ-ვაშინგტონი?

მიუხედავად ორივე დედაქალაქში არსებული ხისტი პოლიტიკური აზროვნების ადამიანთა სიუხვისა, განსაკუთრებით ვაშინგტონში, ვერ გადადგამენ და არა იმიტომ, რომ მოჭარბებულად პაციფისტური განწყობისანი არიან, არამედ იმიტომ, რომ ძალთა თანაფარდობა – თვალშისაცემია. მსოფლიო, ბირთვულ იარაღს უნდა უმადლოდეს 70-წლიან მშვიდობას და არა ხელისუფალთა მშვიდობისმოყვარეობას. არ ყოფილიყო გასული საუკუნის სამოციან წლებში, კუბის კრიზისის დროს ბირთვული იარაღი და უდავოდ იქნებოდა ომი საბჭოთა კავშირ-აშშ-ს შორის – არანაკლებ ხანგრძლივი და დიდი მსხვერპლის მომტანი, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი.

აშშ-ის პოლიტიკოსთა და სამხედროთა უპირველესი ამოცანაა – რუსეთის ისეთ სამხედრო რკალში მოქცევა დახვეწილი, უსწრაფესი იარაღით, რომ რუსეთმა ვერ მოასწროს თავდასხმის განეიტრალება და შეტევაზე გადასვლა. ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ შეძლებს ისეთი რკალის შექმნას შესაბამისი იარაღით, რომელიც აიძულებს რუსეთს ომის გარეშე დანებებას. თუ რუსეთი ვერ შეძლებს მის საზღვრებთან განლაგებული რაკეტების მოგერიებას, ვერც კონტრშეტევას განახორციელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მის არსენალში არსებულ ბირთვულ ბომბებს არავითარი ძალა აღარ ექნებათ.

ამ პროექტის განხორციელებას უდავოდ ესაჭიროება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება. ამ თვალსაზრისით, აშშ გეგმაზომიერად და თანამიმდევრულად მოქმედებს, ხშირად იყენებს რა კრემლის ყურადღების მოდუნებას ფოჩიანი კანფეტებით. ბოლო დროს ასეთი იყო ე.წ. „გადატვირთვა“, რომელიც მოხდა პრეზიდენტ ობამას პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს. სწორედ მაშინ შეძლო აშშ-ის ადმინისტრაციამ იმ დონემდე მოედუნებინა პრეზიდენტ მედვედევის ყურადღება, რომ მას თავი შეეკავებინა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ლიბიასთან დაკავშირებით. საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირების შემთხვევაში ლიბიაში არ მოხდებოდა გარე აგრესია და ქვეყანაც და კადაფიც სიკვდილს გადაურჩებოდნენ.

ლიბიის მოვლენები რომ არალოკალური გამოდგა, ფაქტია. ვაშინგტონმა მოსკოვი აიძულა იაფფასიანი დაპირების ხარჯზე ლიბიის მიმართ მისთვის სასურველი პასუხის მიღება, ისევე, როგორც ირანისთვის C-300 რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის გადაცემაზე უარის თქმა, რის შემდეგ ჩვეული ენერგიით გაგრძელა რუსეთის რკალში მოქცევა, ამჯერად უკრაინით.

ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ შეძლებს ისეთი რკალის შექმნას შესაბამისი იარაღით, რომელიც აიძულებს რუსეთს ომის გარეშე დანებებას. თუ რუსეთი ვერ შეძლებს მის საზღვრებთან განლაგებული რაკეტების მოგერიებას, ვერც კონტრშეტევას განახორციელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მის არსენალში არსებულ ბირთვულ ბომბებს არავითარი ძალა აღარ ექნებათ.

ობამას საპრეზიდენტო მეორე ოთხწლედი კარდინალურად რომ არის განსხვავებული პირველისგან, ფაქტია. წარმოუდგენელია ერთი და იგივე პრეზიდენტი იყოს „მტრედი“ პირველ საპრეზიდენტო ვადაში, ხოლო „ქორი“ – მეორეში. მაგრამ წარმოუდგენელია პოლიტიკური დილეტანტებისთვის. საქმეში ჩახედულთათვის კი, პირველი ობამა იყო ქამელეონი, ხოლო მეორე – ნამდვილი, ანუ პირველი იყო მატყუარა, მეორე – დასანანი სინამდვილე, რაც არა მარტო მას, როგორც პიროვნებას, ცუდად ახასიათებს, არამედ ამ უდიდეს ქვეყანასაც.

სამწუხაროდ, რუსეთი ამას გვიან მიხვდა. იქნებ ადრეც, მაგრამ ფიქრობდა, რომ ამერიკა ისეთი არ იქნებოდა, როგორც კრემლი ფიქრობდა? როდესაც რუსი პოლიტიკოსები სტალინს ლანძღავენ და აცხადებენ, არ სჯეროდა, რომ ფაშისტური გერმანია 1941 წლის 22 ივნისს ომს დაიწყებდაო, თვით, რატომ დაიჯერეს ვაშინგტონის „გუგულობა“ და რატომ ვერ გათვალეს ვაშინგტონის პოლიტიკური შეტევა უკრაინაზე?

ის, რაც მოხდა და ხდება უკრაინაში, ვაშინგტონის ნამუსზეა და რომ ასეა, როგორც იქნა, ამოღერღა რუსულმა პოლიტიკამ. იქნებ ამის შემდეგ შეწყვიტოს მან დასავლეთის მიმართ „პარტნიორის“ ძახილი!

ვაშინგტონ-მოსკოვს შორის არსებული ვითარება აშკარად არ შეეფერება სიტყვა „პარტნიორს“. რბილად რომ ვთქვათ, ის უფრო „ოპონენტობას“ იმსახურებს.

დიახ! პირდაპირი დაპირისპირება, ბირთვული იარაღის წყალობით, არ არის და არც ექნება, მაგრამ ირიბი არის და იქნება, ისეთი, როგორიცაა უკრაინა, სირია, საქართველო, ირანი, ერაყი, ლიბია, იემენი...

დაპირისპირებას, ცხადია, არაპირდაპირს და არასამხედროს, ანაცვლებს პროპაგანდისტული, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი განცხადებები, დოქტრინები, რამაც შეიძლება პირდაპირი დაპირისპირება გამოიწვიოს. ადამიანის, მითუმეტეს პოლიტიკოსის ნერვული სისტემა ზედმიწევნით მგრძნობიარეა, რასაც მოდუნება შეიძლება მოჰყვეს. მაგარი ნერვები უნდა ჰქონდეს პოლიტიკოსს, რომ იოლად აიტანოს მოწინააღმდეგის ცილისწამება აგრესიასთან დაკავშირებით.

აშშ-მა რუსეთი უკრაინაში აგრესორად გამოაცხადა და თავისი მოკავშირეები აიძულა, იგივე ეთქვათ. ვაშინგტონის ქმედებამ მის მიერ დასმული ხელისუფლებები წაახალისა ბალტიისპირეთში, უკრაინაში, საქართველოში, სხვაგან, რუსეთის მოუზომავ კრიტიკაში, ხშირად, ცილისმწამებლურში. ისინი, გამორჩენის მიზნით, აცხადებენ, რომ ევროპისა და დასავლური ცივილიზაციის საგუშაგოზე დგანან და საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ მას.

უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო აშშ-ს არა მარტო იარაღს სთხოვს, ვითომდა რუსეთის სამასათასიანი არმიის მოსაგერიებლად, რომელიც უკრაინაშია, არამედ ფინანსურ დახმარებასაც.

არანაკლები ამბიციებით გამოირჩევა საქართველოს ხელისუფლება მისი თავდაცვის მინისტრის სახით, რომელიც მოუზომავ, გამაღიზიანებელ განცხადებებს განცხადებებზე აცხობს: „ვიდრე ნატო ფართოვდება, არავითარი ომი არ იქნება და ჩვენ გვჯერა ამის. ბალტიისპირა ქვეყნები, რომ ნატოს წევრები არ ყოფილიყვნენ, პუტინი მათ დაესხმეოდა და არა უკრაინას. რუსეთი არ შეჩერდება უკრაინაში“. ერთი მეორის გამომრიცხავი მოსაზრებებია. თუ ნატოს გაფართოებით ომი არ იქნება, მაშინ რატომ არის უკრაინაში ომი და რატომ აშინებს ხიდაშელი ევროპას „რუსეთი უკრაინით არ დაკმაყოფილდებაო“.

და ამას აცხადებს ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში, რომელმაც კარგად იცის, ვინ და რამ გამოიწვია ომი უკრაინაში, მითუმეტეს იცის ვაშინგტონმა, მაგრამ მის ყურს და გულს ახარებს, მისივე დანიშნული მინისტრის ისეთივე ტყუილები, როგორიც საკუთარი. გარდა ამისა, ხიდაშელმა ნატოს გაფართოებისკენ მოუწოდა, ხოლო მის გენერალურ მდივან სტოლტენბერგს – საქართველოსთვის ნატოში გაწევრების ახალი „საგზაო რუკის“ მიცემისაკენ.

ხიდაშელის განცხადებაში ახალი არაფერია. 10 წელიწადზე მეტია, საქართველო ნატოში შესვლას ითხოვს და, ალბათ, მომავალშიც მოითხოვს – ნატოს სამხედრო ბლოკის დაშლის შემთხვევაშიც.

აშშ-ის სამხედრო დოქტრინა რომ საქართველოს ხელისუფალთა, განსაკუთრებით ხიდაშელის გულს ახარებს, გასაკვირი არ არის, მაგრამ გასაკვირია ვიწრო აპოლიტიკური, არასახელმწიფოებრივი აზროვნება, რომელიც ცუდი ლაიტმოტივივით გასდევს მის ნებისმიერ განცხადებას.

პოლიტიკური განცხადებების თვალსაზრისით, საქართველო ის უნიკალური ქვეყანაა, სადაც ნებისმიერი დარგის მინისტრს შეუძლია საგარეო-პოლიტიკური მოსაზრების საჯარო „გამოფენა“, თითქოს ამ დარგის სპეციალისტი იყოს, რაც აშკარა მაუწყებელია იმისა, რომ არც ამ მხრივ არის აწყობილი ხელისუფლების საქმე. არასდროს მომიკრავს ყური, თუნდაც ჩვენი „მტერი“ რუსი მინისტრებისგან, საგარეო საქმეთა მინისტრის სათქმელი ეთქვა. ხიდაშელი რომ ჩვეულებრივი მოქალაქე იყოს, უფლება აქვს ჭკუა დაარიგოს რუსეთს – უმჯობესია რუსეთმა ტერორიზმის საკითხებს მიხედოს, ნაცვლად მეზობლებთან ომისაო, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ – თავდაცვის მინისტრია.

საერთოდ, საგარეო საკითხებში ჭკუის დარიგებას ცუდად აღიქვამენ, მითუმეტეს მინისტრისგან.

ჰოდა, როდესაც ესოდენ დიდ პოლიტიკურ ბურუსში ვცხოვრობთ, შეიძლება ვინმემ დაიჯეროს საქართველოს ხელისუფლება „ალაგებს“ რუსეთთან ურთიერთობას?! ხიდაშელის, ბერუჩაშვილის სისტემატური ანტირუსული განცხადებები საწინააღმდეგოს მეტყველებს?! მათ შემდეგ, რაც არ უნდა ამტკიცოს ღარიბაშვილმა, რომ მზადაა რუსეთთან ურთიერთობის „დალაგებისთვის“, დაიჯერებს ვინმე?

რკალი, რომელსაც აშშ ქმნის რუსეთის ირგვლივ, მარტო რუსეთის დასავლეთის საზღვრებთან არ გადის. ის სამხრეთის საზღვრებსაც ეხება და ამ ჯაჭვში საქართველო მთავარია. ჰოდა, მთავარი რომ არის, სულაც არ უნდა გვიკვირდეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნა და ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება. ჰკითხეთ ნებისმიერ პოლიტიკოსს თუ არაპოლიტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს თუ რიგით მოქალაქეს დაკარგულთან დაკავშირებით და პასუხსაც უმალ მიიღებთ – საქართველო არ შეეგუება ამას.

კეთილი, მაგრამ რა დევს ამ პასუხში? შეუპოვრობა? მიზანმიმართული ყოველდღიური ბრძოლა? არც არაფერი. ვინც უნდა იბრძოდეს ჭკუით, გონებით, ის, პირიქით მეზობლის გაღიზიანებით არის დაკავებული.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ – დაკარგულის დაბრუნებლად საქართველოს არ შეუძლია ომის წარმოება და რომ არ – აშკარად დამტკიცდა 2008 წელს. მაშ, როგორ უნდა დაიბრუნოს მან დაკარგული? – მხოლოდ მოლაპარაკებით, საზრიანი დიპლომატიით, სახელმწიფოებრივი აზროვნებით.

მაინც რა შორსაა უაზროდ მკბენარი ბზიკის საქმე, ქართული, ტრადიციული ფუტკრის ფუსფუსისგან. საქართველოს ქართული ფუტკრის მსგავსი ფუსფუსი გადაარჩენს და არა ბზიკის ბზუილი და დანესტვრა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

უნამუსობის სამშენებლო პოლიგონი სპორტის სასახლესთან

დედაძალაძი ჯერაც ვერ გამოსულიყო ვერეს ხეობაში დატრიალებული სტიქიური უბედურების შოკისგან, რომ ის აფაქიძის ქუჩაზე მომხდარმა უცაბედმა ტრაგედიამ ერთიანად შეძრა და ააფორიაქა. აქ არ შევუდგები იმის გარჩევას ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელსაც ოთხი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ვინ იყო კონკრეტული დამნაშავე (ამას პროკურატურა იძიებს და იმედია, დამნაშავე დამსახურებისამებრ დაისჯება), მაგრამ იმის გარკვევას კი შევეცდები, რამ უბიძგა ხსენებული ტრაგედიისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

ასეთი მოკრძალებული შესავლის შემდეგ, ალბათ, აუცილებელია ითქვას, რომ განაშენიანების გენერალური გეგმის გარეშე დარჩენილ, ბუნებრივი მშვენიერებით მთელ მსოფლიოში ულამაზეს ქალაქად აღიარებულ თბილისს, კაი 10 წელიწადზე მეტხანს ქვეყნის ექსპრეზიდენტი საакაშვილი და ქალაქის მერიის მესვეურები (რა თქმა უნდა, უგულავას წინამძღოლობით) უმოწყალოდ ამახინჯებდნენ. რადგან თბილისში სამშენებლო პროექტების გათვლებს არავინ აკეთებდა და არც არავინ კითხულობდა, მშენებელი ინჟინერი იყავი თუ ცეკვის მასწავლებელი, მშენებლობის საპატიო, ეროვნული საქმე ხელთ იგდეს არაკაცებმა, რომლებიც ჰაიჰარად ჰყიდდნენ სარფიან ადგილებს, სართულიანობას, ბაღებსა და სკვერებს, მზესა და ჰაერს, და რაც უფრო მთავარია, სინდისსა და ნამუსს... და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ — არქიტექტურული ნაგებობებისა და უბნების ნაცვლად არქიტექტურული ურჩხულები, რომელთა მცხოვრებთაც ზემოთ მზის ჭვრეტა გასჭირვებიათ და ქვემოთ — დედამიწისა.

ნამდვილად ასეა, იმათთვის, ვისაც თვითგვემა იზიდავს, სპორტის სასახლის ირგვლივ წამოჭიმულ ცათამბჯენებში ცხოვრების „უმშვენიერესი“ პირობებია შექმნილი. აღარაფერს ვამბობ სუიციდის „მოყვარულებზე“, რომელთაც შეუძლიათ უჰაერო კორპუსებში ისე ჩამოიხრჩონ თავი, რომ თოკის ჩამობმაც არ დასჭირდეთ(!).

ზოგმა გულუბრყვილომ შეიძლება იფიქროს, კომუნისტურმა მთავარობამ თავის დროზე სპორტის სასახლისა და აკადემქალაქის ტერიტორია იმიტომ დატოვა „მოშიშვლებული“, რომ მისი ფასი არ იცოდა. სწორედაც რომ იცოდა და უფრთხილდებოდა, ჯერ ერთი, თავად სასახლის უნიკალურობას და, მეორეც, საბურთალოს უბნის კონდიცირების არც თუ იოლი პრობლემის გადაჭრას. საკუთარ კეთილდღეობას გადაყოლილ ქალაქის ყოფილ მესვეურებს თუ ახალმშენებლობისა არაფერი გაეგებოდათ, ის მაინც ხომ უნდა სცოდნოდათ, რომ სპორტის სასახლე უნიკალური არქიტექტურული ნაგებობაა და მსგავსი შენობების გარშემო, გარკვეულ რადიუსში, იკრძალება ისეთი მშენებლობის აგება, რომელიც მათ ღირებულებას დააკნინებს.

დიახ, სპორტის სასახლე წესისა და რიგის მიხედვით, უნდა ყოფილიყო არქიტექტურული დომინანტი, მიმდებარე ტერიტორია კი — ხელუხლებელი. მაგრამ „პოლიტპატიმარ“ უგულავას მადას რა გამოეპარებოდა, მან უმალ იყნოსა, რომ ქალაქის ამ ცენტრალურ ნაწილში მიწას ოქროს ფასი აქვს და მთელი ეს მიდამო სამშენებლო პოლიგონად და ფულის საკეთებელ ინდუსტრიად აქცია(!).

ჰოდა, აბა ეცადეთ და ამ ფულიხვეტია დონკიხოტების მიერ აშენებული ქალაქის ცადაწვდენილ კორპუსებს შორის ერთი გამწვანებული ეზო (ან საერთოდ ეზო), ერთი მცირე პარკი, ბავშვებისთვის მარტივი ტიპის სათამაშო მოედანი მაინც აღმოაჩინეთ. აღარაფერს ვამბობ საბავშვო ბაგა-ბაღებზე (ყველა ისინი კერძო ბინებშია განთავსებული) და სკოლებზე, რომელთა არსებობა აქაურ მშენებლებსა და დამგეგმარებლებს ძილშიც არ დასიზმრებიათ. მათი ეს შეცდომა თუ ფულს გადაყოლილი სიხარბე დღესაც მოუშუშებელ ტკივილად აწევს ამ უბნის მოსახლეობას.

ბარემ აქვე ვიტყვი, რა ტანჯვა-წამებაში უწევთ ცხოვრება და მგზავრობა აქაურ ავტომფლობელებსა თუ ქვეითად მოსიარულეებს. ამ ვიწრო ზოლებისთვის, რომლებიც სოფლის ორღობეებს უფრო მოგვაგონებენ, ადამიანთა და ავტომობილთა სავალად ვითომ ქუჩის სახელებიც (ალმასიანის, ბერბუკის, აფაქიძის, ალექსიძის, კვერნაძის და სხვ) შეურქმევიათ, მაგრამ ისინი ისევე ასრულებენ ქუჩის მოვალეობას, როგორც „პოლიტპატიმრობაში“ მყოფი უგულავა — მერობისას. იმ ერთი კახელისა არ იყოს, რა ქუჩები, რი ქუჩები, ეს უბრალოდ აქეთ-იქით ავტომანქანებით ჩახერგილი ადგილებია, რომელთა უხიფათოდ გავლას არა მარტო მძღოლები (მანქანიდან თავი არ უნდა გამოყო, თორემ ვიღაც „ლიხაჩი“ ყურებიანად წაგაცლის!), ფეხით მოსიარულენიც კი დიდი გაჭირვებით ახერხებენ.

ასეთ სამშენებლო ორომტრიალში, როცა, როგოც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, რა თქმა უნდა, თავად სპორტის სასახლის ადმინისტრაციაც (დირექტორი გიო ხუციშვილი) შეფიქრიანდა, ემანდ მშენებლებს ღმერთი არ გაუწყრეთ და ამდენ ბაკქანალიაში თავად სასახლეც არ შემოეჭამოთო. შეფიქრიანდა და ისღა იღონა, რომ მშენებლობებს მორჩენილი სასახლის ეზო მცირეწონიანი ბეტონის ლოდებით შემორაგა, შემდეგ ეზოს შემოსასვლელში დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან ჯიხურები ჩადგა, შიგ ყარაულები დასხა და ავტომანქანებით შემსვლელებს საათობრივი ტარიფი დაუწესა. ამით სპორტის სასახლის „გონიერმა“ დირექციამ უნიკალური ძეგლი ღორმუცელა მშენებლებისგან „შეჭმასაც“ გადაარჩინა და სარფიანი შემოსავალიც გაიჩინა. ამით არ დაკმაყოფილდა, სპორტის სასახლის ვესტიბიულის უდიდესი ნაწილი ევროპული ბრენდებით მოვაჭრე მარკეტს დაუთმო, ეზოში კი სურსათისა და „სენდვიჩებისა და სალათების“ ულტრათანამედროვე ობიექტები განათავსა, რომლებმაც მეზობლად მდებარე „მაკდონალდსთან“ და სადღეღამისოდ მომუშავე „საშაურმესთან“ ერთად, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა უნიკალური კვების მთელი კომპლექსი შექმნეს. ერთადერთი უკმაყოფილო და განაწყენებული სასახლის წინ მდგომი „მზეჭაბუკი“ დარჩა, რომელიც თურმე სასახლის ბიზნესმენი დირექტორისათვის კონკურენციის გაწევის მიზნით, „სალათებისა და სენდვიჩების“ გვერდით სახინკლის ჩადგმას გეგმავს!..

ეს ყველაფერი თავისუფლად აითვისა და შეითავსა სპორტის სასახლის წინ მდებარე ტერიტორიამ, მაგრამ მშენებელთა ფხიზელ თვალს არც სასახლის უკან, აფაქიძის ქუჩაზე ცათამბჯენთა შორის ობლად მიტოვებული მათემატიკის გამოთვლითი ცენტრის შენობა გამორჩენია. **ამ არეულ ქვეყანაში რა დროს მათემატიკური გამოთვლებიაო, იფიქრეს კომპანია „ტიფლის ბიზნეს ცენტრის“ მესვეურებმა, ამას არ აჯობებს, შენობას რეკონსტრუქცია გავუკეთოთ, სართულები დავამატოთ, ულტრათანამედროვე სასტუმრო გავხსნათ, ჩვენც გავკეთდეთ და ბიუჯეტიც ვასარგებლოთო. თქვეს და საქმეც გააჩალიჩეს, მერიის სსიპ „არქიტექტურის სამსახურიდან“ სამუშაოთა წარმოების უფლება მოიპოვეს და შენობის რეკონსტრუქციას შეუდგნენ. რა ტრაგედიითაც დამთავრდა ეს ეგრეთწოდებული რეკონსტრუქცია, ახლა ყველასთვის ცხადია.**

ფიქრები აფაქიძის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გამო

— ძალიან ვწუხვარ იმაზე რაც მოხდა, — ამბობს ამ უბნის მცხოვრები, ბოჭორიშვილის პირველ ნომერში განთავსებული საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე ჯემალ ცუცქირიძე, — მაგრამ ამ უბედურებას, ალბათ, ავცდებოდით, თავის დროზე მერიას ჩვენთვის რომ მოესმინა და უბნელთა კანონიერი თხოვნა შეესრულებინა.

— რას თხოულობდით?

— უჩვეულოს არაფერს. წერილში, რომლითაც მერიას მივმართეთ, აღვნიშნავდით, რომ საბურთალოს ამხელა უბანში, რომელიც მთლიანად საცხოვრებელი კორპუსებით არის გაძეძგილი, დღემდე სკოლის აშენება არავის დასიზმრებია და გამოთვლითი ცენტრის ძველი შენობის სკოლად გადაკეთებას მოვითხოვდით. სასტიკი უარი გვტკიცეს, შენობა, რომელიც ადრე მეცნიერებათა აკადემიისა იყო, ახლა ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაა და თითსაც ვერ დავაკარებთო.

— აბა როგორ აღმოჩნდა ეს თითდაუკარებელი საკუთრება ერთ მშვენიერ დღეს კომპანია „ტიფლის ბიზნეს ცენტრის“ მფლობელობაში?

— ეგ, ბატონო ოთარ, ამჟამად „პოლიტპატიმრობაში“ მყოფ გიგი უგულავას უნდა ჰკითხოთ და მერიის სსიპ „არქიტექტურის სამსახურს“, რომელიც მშენებლობისა თუ რეკონსტრუქციის უფლებას ქალაქის ნებისმიერ წერტილში გასცემდა, თუკი ამას თბილისის ერთმმართველი უგულავა მოისურვებდა. როგორც ვიცი, თავის დროზე არქიტექტურის სამსახურის ეს კორუფციასუნიანი გადაწყვეტილება ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სასამართლოშიც გაასაჩივრა, მაგრამ იქიდან რაც მივიღეთ, ამ ჩამონგრეული შენობიდანაც ჩანს...

დიახ, რა შედეგამდე მიგვიყვანა ამან, უკვე ვნახეთ, თუ რა გველის მომავალში, ამის თაობაზე ამ ორიოდე წლის წინათ ხელისუფლებაში მომავალმა ოცნებელებმა საოცნებო მერმისი დაგვიხატეს. რაც უკვე აშენებულია, იმას ვეღარ დავანგრევთ, გვითხრეს მათ, მაგრამ კაცურ სიტყვას ვიძლევით, შევაჩერებთ თბილისის მახინჯ აღმშენებლობას და თუ სადმე წავაწყდით ფულით ჩაწყობილ მშენებლობას, გარწმუნებთ, ის დღის სინათლეს ვერ იხილავსო. კი შეგვპირდნენ, მაგრამ სკამებზე დასკუპებისთანავე დაავიწყდათ. **ამავე უბანში, სპორტის სასახლესთან ახლოს ცხოვრობს თბილისის ამჟამინდელი მერი დავით ნარმანია, მაგრამ რატომღაც ვერ ვიხსენებ, მას რომელიმე უკანონო მშენებლობა შეეჩერებინოს, თუნდაც მისი საცხოვრებელი კორპუსის ირგვლივ, სადაც მშენებარე ცათამბჯენების უსიერი ტყეა. მიზეზად იმას იდებენ, ყველა ეს მშენებლობა ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა საკუთრებაა და რა უფლება გვაქვს ხელი ვახლოთო.**

ამას წინათ ტელევიზიით გამოსვლისას, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ დაიჩივლა, ამ ასანთის კოლოფებივით ჩაყრილი მაღლივი შენობების გადამკიდე ისეთმა უჰაერობამ დაისადგურა ჩვენს ირგვლივ, რომ უნიკალური ხელნაწერები გვეღუპება და იძულებული ვართ, ხელნაწერთა ცენტრი სადმე ქალაქის გარეუბანში გადავიტანოთო. არადა, აკადემქალაქის ეს ტერიტორია, სადაც ახლა ცენტრია განთავსებული, ქალაქმნგრეველი მშენებლების გამოჩენამდე, თბილისში ედემის ბაღად აღიქმებოდა.

ედემის ბაღს ვინ ჩივის, ახლა აქ ისეთი ატმოსფეროა, რომ არა თუ ადამიანები, ხელნაწერებიც კი ვეღარ სუნთქავენ. ქვეყნის მთავარ პროკურატურაში კი კანონში დღემდე ვერ მოძებნეს ის მუხლი, რომლითაც ადამიანებისთვის სუნთქვის ამკრძალავ დამნაშავეებს კუთვნილ სასჯელს მიუზღავენ.

რას ბრძანებთ, ბატონო, მეტყვის მავანი, განა უგულავა ციხეში მაგისთვის არ გამოამწყვდიეს? არა, ბატონებო, ცდებით, უგულავა პოლიტიკურზე ზის (თუ არ გჯერათ, ნაცებს დაეკითხეთ), მე კი სისხლის სამართლის რეალურ დამნაშავეებზე გელაპარაკებით!

ოთარ ხუციშვილი

◎ კაკალ გულში

წარცილოვანი თქმანები

● **სამწუხაროდ, ნაციონალები და მათი მედია-ზონდერები, როგორც მეფე მიდასის ანტიპოდები, რა საგანსაც არ უნდა შეეხონ, ყველაფერს ნაგვად აქცევენ.**

ყველა ნორმალური ქართველი გამწარებულია და ღრმად განიცდის მისი მამულის ხელყოფას,ნაციონალები კი ამ უმძიმესი ეროვნული ტრაგედიიდანაც ცირკის მოწყობას ახერხებენ!!!

● **თოფაძე და ხმალაძე პარლამენტში გვყავს და შველას ვიღაც ტუსკიასგან ველოდებით?**

● **რა დოკუმენტი უნდა გაესაჯაროებინა, ან რა უნდა დაეწერა მელიას, ასეთი აჟიოტაჟი რომ გამოეწვია.**

ახლა არ მითხრათ, მელიას, ფეხბურთის გულშემატკივრებზე დარდით, ღამეები არ სძინავსო.

თვითონ აძლევენ საპიარო მასალას ნაცებს. სრული იდიოტიზმია, აბა რა!

● **საკრებულოს წევრებს ტელევიზორში რო ვაყურებინო არ უნდათ? პირველი რიგი ნ ლარი, მერე თითო ლარი აკლდება.**

ბატიბუტი და ლუდი პრეისკურანტის მიხედვით. ბინოკლი აქვთ და წამოიღონ.

● **„საოკუპაციო ზოლთან მივდივარ საზღვრის გადმოსაწევად, მალე მოვალ. გრეჩიხა გაზზეა, კატლეტი მაცივარში“...**

● **საკრებულომ თუ ბილეთები მოითხოვა, დედიმისის ჭამეს, მარა ამ მოთხოვნას რო აპროტესტებს, ის ხალხი სად იყო, ვანო რო ორ ტრუპს ითხოვდა (თავის დროზე), ეგ მაინტერესებს ძალიან!**

● **შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გონიერი გამოსავალი ასეთია: საოკუპაციო საზღვრის ტრაფარეტი წარწერით „Южная Оссетия“** ღამე, ჩუმად, თურქეთის საზღვრამდე გადავაჩოჩოთ, მერე პუტინმა და ერდოღანმა იმტვრიონ თავი მავთულხლართებზე და ტრაფარეტებზე რა ეწერება, ჩვენ კი სამაჩაბლო დაგვიბრუნდება!!!

● **რუსებს ამ ხიდაშელის სულ არ ეშინიათ, თუთბერიძე უნდა დაგვენიშნა, მაგარი „სტრაშნია“!!!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

„ნათელაშვილმა სახლი მიხეილ სააკაშვილის მიცემული ფულით აიშენა“

სააკაშვილი-ნათელაშვილის ფარული თანამშრომლობის შესახებ, დღეს უკვე ღიად საუბრობს პოლიტიკური პარტია „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი სოსო შატბერაშვილი, რომლის განცხადებითაც, შალვა ნათელაშვილმა საакაშვილის დაფინანსებით ბაზალეთზე 5 მილიონ დოლარად ღირებული სასახლე აიშენა. მეტიც, შატბერაშვილი აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილმა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, ნათელაშვილს 7-ოთახიანი დუპლექსის ტიპის ბინა უყიდა. დაინტერესების შემთხვევაში, შატბერაშვილი მზად არის, პროკურატურას მტკიცებულებები წარუდგინოს, თუმცა, მანამდე, for.ge დაინტერესდა პირველი ლეიბორისტის პოლიტიკური ინტრიგებით, რაზეც მისი პარტიის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი სოსო შატბერაშვილი გვესაუბრა.

სოსო შატბერაშვილი: შალვა ნათელაშვილს ბაზალეთში აქვს მამისეული სახლი, თუმცა, გვერდით აიშენა ახალი სასახლე. როდესაც ის აცხადებს, რომ ეს არის ჩემი მამაპაპისეული სახლი, არ არის სწორი. მამაპაპისეული სახლის გვერდით აიშენა სრულიად ახალი სახლი იმ ფულით, რომლითაც დააფინანსა მიხეილ სააკაშვილმა. ეს სახლი 5 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

— რა ინტერესი ჰქონდა სააკაშვილს, რომ დაეფინანსებინა ნათელაშვილი, რომელიც ღიად იყო დაპირისპირებული მასთან, ყოველ შემთხვევაში, ასე იცოდა საზოგადოებამ...

— ჩვენ ვიყავით შეურიგებელი ოპოზიცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ზურგს უკან მოხდა სააკაშვილთან გარიგება. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკაში, გაირკვა, რომ ივანიშვილის ლანძღვა და მასთან დაპირისპირება ძალიან უღირდა სააკაშვილს და ჩვენს ზურგს უკან დაიწყო ნათელაშვილის დაფინანსება. დამფინანსებელიც გავარკვიეთ, ეს გახლავთ ისრაელის მოქალაქე ანატოლი მოტკინი.

— ვინ არის ანატოლი მოტკინი?

— ის არის თაღლითი. ფულად ურთიერთობებში არის შუამავალი. ნათელაშვილმა არც დამალა, რომ ანატოლი მოტკინს მოჰქონდა მასთან ფული. პირველად ავსტრიაში მიუტანა ფული, შემდეგ უკვე, 2011-2012 წლებში ეს პიროვნება სისტემატურად მოდიოდა ჩვენთან ოფისში და მოჰქონდა ფული, ხოლო ნათელაშვილის ანგარიშებზე გაჩნდა ექვსნიშნა ციფრიანი თანხები, რომელიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ.

— როდესაც ამბობთ, რომ ფული მოჰქონდა, თქვენ ამის თვითმხილველი ხართ?

— ამის თვითმხილველი ვიყავით ყველა. მოტკინს ტყავის ჩანთით დაჰქონდა ფული. შალვა ნათელაშვილმა თქვა, ვიპოვე დამფინანსებელი და მადლობას ვუხდი დიდ ებრაელ ხალხს, რადგან ისევ ებრაელებმა დაგვაფინანსეს უანგაროდო. თუმცა, შემდეგ თქვა, თურმე ეს უანგარო, არც მთლად უანგარო ყოფილაო.

— რას გულისხმობდა?

— ნათელაშვილმა თქვა, რომ ამ დაფინანსებაში ანატოლი მოტკინი იღებს 30% და ეს არის 2 მილიონიო. სწორედ ამის შემდეგ დაიწო იმ პატარა კოტეჯის თავბრუდამხვევი სისწრაფით, წარმოუდგენელი მასშტაბის მშენებლობა. რაც მთავარია, პარტიაში გაჩნდა ფინანსები, დაიწყო ამ ფულის დარიგება და შემდეგ გავარკვით, რომ თურმე ეს ყველაფერი მოდის მიხეილ სააკაშვილისგან. როდესაც პოლიტკომიტეტის სხდომა მოვიწვიეთ და პირდაპირ მოვთხოვეთ პასუხი, მან განაცხადა, მაფინანსებს ანატოლი მოტკინი და არ უარვყოფ, შეიძლება, ის ვანო მერაბიშვილის ბიზნეს პარტნიორიც არისო. მას არ უარუყვია, რომ კავშირში იყო მერაბიშვილთან. სამწუხაროა, რომ ამით არ ინტერესდება პროკურატურა და ამ ადამიანებს არ იბარებენ პროკურატურაში.

— ნათელაშვილის დაკითხვას ითხოვთ?



— დიახ. პროკურატურისგან მოვითხოვთ, რომ დაიკითხონ შალვა ნათელაშვილი, ასევე ისრაელის მოქალაქე ანატოლი მოტკინი და მათ შორის ჩვენც.

— რაც შეეხება დაფინანსებას, მუდმივად მოდიოდა ინფორმაცია, რომ ნათელაშვილი არ იყო რეალურად სააკაშვილთან დაპირისპირებული. ასევე გვქონდა ინფორმაცია, რომ ნათელაშვილი გარკვეული თანხის სანაცვლოდ, საარჩევნო სიებში სვამდა ხალხს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ საარჩევნო კამპანიის პერიოდში, სააკაშვილის ხელისუფლება ხელს უწყობდა „ლეიბორისტებს“, რასაც ვერ ვიტყვით სხვა პარტიებზე. თქვენ რა შეგიძლიათ გვითხრათ ამასთან დაკავშირებით?

— იმ პერიოდში, რომელზეც ახლა თქვენ საუბრობთ, პირადად მე და ჩემი თანამებრძოლები არ ვიყავით პარტიის ხელძღვანელები. მაშინ ჩვენ ვიყავით რეგიონალური კოორდინატორები და არ მიგვიწვდებოდა ხელი ინფორმაციაზე, რა პრინციპით დგებოდა სია. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაციები მოდიოდა ჩვენამდე, მაგრამ არ ვიჯერებდით და არც გვინდოდა დაგვეჯერებინა, თანაც ყოველად უსაბუთოდ. როდესაც რეალური ფაქტები მოვიპოვეთ, მაშინ მოვიწვიეთ სხდომა და ნათელაშვილს პასუხი მოვთხოვეთ.

— რა პასუხი ჰქონდა ნათელაშვილს?

— როდესაც სააკაშვილთან ალიანსის დამადასტურებელი საბუთები დავუდეთ, გვითხრა, რომ ყრილობის მოწვევაც არ გინდათ, გადავდგებიო, მაგრამ მოგვატყუა და არ გადადგა. რადგან არ გადადგა, უმრავლესობამ დავტოვეთ პარტია.

— ანუ თქვენც გაქვთ ინფორმაცია, რომ პარტიული სიის შედგენაში ფულს იღებდა?

— იყო ლაპარაკი, რომ სიაში ჩაწერა ხდებოდა თანხის გამო. მაგრამ, დაუდასტურებელ ინფორმაციას არ ვეყრდნობოდით. საარჩევნო სიაში ჩაწერილი იყო ვინმე თევდორაძე, რომელიც პარტიის წევრი იყო მესხეთ-ჯავახეთიდან, 2011 წელს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ეს ბატონი ვანო მერაბიშვილის ნათესავი ყოფილა და მას გაუღია პარტიის დასაფინანსებელი თანხები.

— ნათელაშვილი რომ სააკაშილთან არ იყო დაპირისპირებული, ეს ხშირად მისი ქმედებითაც დასტურდებოდა. რადგან ნათელაშვილი უპირისპირდებოდა იმ გუნდს, ან პიროვნებას, რომელსაც ურთერთობა ეძაბებოდა სააკაშვილთან. ამის ერთ-ერთი მაგალითია, ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელის სახლთან აქციის მოწყობა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს აქცია დაფინანსებული იყო სააკაშვილის მხრიდან, ანუ მის ინტერესში შედიოდა აქციის გამართვა ჩოჩელის სახლთან. თქვენც ამ აქციის მონაწილე ხართ, რას იტყვით?

— ნამდვილად, მეც ვიყავი ამ აქციის მონაწილე, მაგრამ რა დაფინანსება უნდოდა ცეზარ ჩოჩელის სახლთან ჩატარებულ აქციას. შეიძლება, სააკაშვილის მოთხოვნით ჩატარდა და არა მისი დაფინანსებით. 100 ლარზე ძვირი არ დამჯდარა ის აქცია. ჩვენ მოგვიანებით გავარკვიეთ, რომ ნათელაშვილი ნამდვილად ფინანსდებოდა სააკაშვილის მხრიდან, მისი სატელიტი იყო, როგორც დღეს და არ გამოვრიცხავ, რომ მისი ყველა წინა აქცია და აქტიურობა სააკაშვილთან შეთანხმებით ხდებოდა.

— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ნათელაშვილი რამდენჯერმე იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში და გამართა მაღალი დონის შეხვედრები. ნაციონალების მსგავსად, ლეიბორისტების ლიდერიც ამტკიცებს, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა და, რომ ქვეყანას მართავს ოლიგარქი. ამ შემთხვევაშიც სააკაშვილის თამაშს თამაშობს ნათელაშვილი?

— უკვე აღარც არის თამაში. მას გახსნილი აქვს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერი, როგორც საკუთარი ტელეკომპანია. როდესაც ჩვენ მართლა დაპირისპირებული ვიყავით სააკაშვილთან, „რუსთავი-2“ ჩვენთვის იყო გადაკეტილი და არც კი გვაშუქებდნენ. ჩვენთვის ღია იყო მხოლოდ „იმედი“, მაგრამ, როდესაც დაარბიეს და წაართვეს პატარკაციშვილს, ისიც დაიკეტა. როგორც კი შეეკრა სააკაშვილს, მაშინვე სააკაშვილის ტელეკომპანიები გაიხსნა მისთვის.

ერთი საინტერესო დეტალის შესახებ მინდა, გავაკეთო განცხადება. შალვა ნათელაშვილს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, 7-ოთახიანი დუპლექსის ტიპის ბინა უყიდა მიხეილ სააკაშვილმა, დღესაც იქ ბრძანდება ნათელაშვილი ოჯახთან ერთად. საზოგადოება შოკში ჩავარდება, როდესაც გაიგებს მისი ვოიაჟების შესახებ. ჩვენ დოკუმენტურად წარვუდგენთ საზოგადოებას როგორ სასტუმროში ცხოვრობდა და რამდენს იხდიდა ნათელაშვილი. ასევე, რა ძვირადღირებული ბილეთებით დაბრძანდებიან ის და მისი მეუღლე უცხოეთში.

— ძალიან სერიოზულ ბრალდებებს უყნებეთ თქვენი ყოფილი პარტიის ლიდერს. გაქვთ მტკიცებულებები, რითიც შეძლებთ ამ ბრალდებების დამტკიცებას?

— რა თქმა უნდა. მინდა, რომ მიჩივლოს კიდეც ნათელაშვილმა, მაგრამ არ მიჩივლებს, რადგან მან ძალიან კარგად იცის, რომ მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია. მინდა, რომ ამ ინფორმაციით დაინტერესდეს პროკურატურა და ჩემი ინტერვიუ ჩათვალოს როგორც განცხადება და დაინტერესდნენ ყველაფერ ამითი, დაიბარონ და დაჰკითხონ შალვა ნათელაშვილი. ამ საკითხებთან დაკავშირებით, დაახლოებით 2 თვის წინათ, გამოვიწვიე სატელევიზიო დებატებში, მაგრამ სრული დუმილია მისი მხრიდან.

თამთა ქარჩავა

◎ ინფორმაცია თემაში

„ლეიბორისტები“ რუსეთიდან ფინანსდებიანო

გუშინ ახალგაზრდული ორგანიზაცია „თავისუფალი თაობა“ ლეიბორისტული პარტიის ოფისთან საპროტესტო აქციის გასამართად მივიდა. ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრების თქმით, ლეიბორისტული პარტია და კონკრეტულად მათი ლიდერი შალვა ნათელაშვილი რუსეთიდან ფინანსდება და მათ პოლიტიკურ ძალას არა აქვს საქართველოში პოლიტიკური საქმიანობის უფლება.

„თავისუფალი თაობის“ წევრებს პარტიის ოფისის გარეთ ლეიბორისტული პარტიის წევრები დახვდნენ. ლეიბორისტული პარტიის წევრები „თავისუფალი თაობის“ წევრებს „პინგვინებსა და რუსი ოლიგარქის მიერ დაქირავებულ პირებს“ ეძახიან. თავის მხრივ, „თავისუფალი თაობის“ წევრები ლეიბორისტული პარტიის წევრებს რუსული ფულის აღებაში ადანაშაულებენ. ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია, რათა მხარეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება არ მომხდარიყო.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მშვიდად! საქართველოს მთავრობამ იცის, რასაც აკეთებს!

არასამთავრობო გაერთიანებების და ოპოზიციის წარმომადგენლები მთელი დღის განმავლობაში აწყობდნენ საპროტესტო აქციას სახელწოდებით „არა-ოკუპაციას!“ გორის რაიონის ზოგიერთ სოფელთან, სადაც უქმე დღეებში რუსმა მესაზღვრეებმა დააყენეს ახალი სასაზღვრო საცნობი ნიშნები. აქტივისტებმა ბრალი დასდეს ხელისუფლებას უმოქმედობაში და თვითნებურად გადააყირავეს რამდენიმე ბანერი წარწერით: „სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკა“. ამ დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოუწოდა საზოგადოებას, ნუ ატეხენ პანიკას და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობამ იცის, თუ რას აკეთებს.

ჟურნალისტების, ოპოზიციონერებისა და აქტივისტების ნაწილი, რომლებმაც გადაწყვიტეს ადგილზე გაეპროტესტებინათ დე ფაქტო სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის, ახალი საცნობი ნიშნების გაჩენა, რომლებიც დააყენეს რუსმა მესაზღვრეებმა სოფლებში ხურვალეთი და წითელუბანი, იდგა მდუმარედ, მათ ხელში ეჭირათ პლაკატები წარწერით: „არა – ოკუპაციას!“ ზოგიერთს ნერვებმა უმტყუნა და მათ მოხსნეს ბანერები. ქართველ პოლიციელებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ აქტივისტებისათვის, საბედნიეროდ, არ გამოჩენილან არც რუსი მესაზღვრეები. მთელი ალბათობით მათ გადაწყვიტეს თვალყური ედევნებით მომხდარის შესახებ შორიდან.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა ამჯობინეს ხელი არ ეხლოთ ბანერებისათვის და ყურადღება გაემახვილებინათ ბრალდებებზე „ქართული ოცნების“ მთავრობის მისამართით უმოქმედობაში და არასწორი საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეეცადა, დაემშვიდებინა აქტივისტების მძვინვარება და რისხვა. მან მოუწოდა საზოგადოებას სიმშვიდისაკენ:

„არ არის საჭირო ზედმეტი აჟიოტაჟი და პანიკა. მთავრობამ იცის, რა გააკეთოს, მთავრობამ იცის, თუ რას აკეთებდა. ჩვენ მიზანდასახულად და თანმიმდევრულად მივდევთ ჩვენს კურსს, ჩვენ მშვიდად, თუმცა პრინციპულად უნდა გამოვიყენოთ ყველა საერთაშორისო ბერკეტი. ის ფაქტი, რომ ეს ტერიტორია იმყოფებოდა ოკუპანტების კონტროლქვეშ, ვფიქრობ, ყველასთვის ცნობილია. ბანერების დაყენება შეიძლება შევაფასოთ პროვოკაციად, რომლის გამართლებაც არაფრით არ შეიძლება იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ ამ სამი წლის განმავლობაში არაერთგზის ვადასტურებდით, რომ ნამდვილად გვსურს მოვაწესრიგოთ ურთიერთობანი რუსეთთან“.

მთავრობის მეთაური შეეცადა, დაემშვიდებინა ისინიც ვისაც აღელვებს ნავთობსადენ ბაქო-სუფსის ბედი, შეგვახსენა, რომ ამ საერთაშორისო პროექტის უკან დგანან სხვა სახელმწიფოებიც.

იმაში, რომ შეშფოთებისათვის მიზეზები არ არსებობს, ჩვენი გამოცემა დაარწმუნა ბიპი ჯორჯიას სპიკერმა თამილა ჩანტლაძემაც: **„ბიპი ახორციელებს ოპერაციას ნავთობსადენ ბაქო-სუფსასთან დაკავშირებით უკვე 16 წელიწადია, და აქამდე ექსპლუატაცია მიმდინარეობდა მშვიდად. კომპანიას აქვს როგორც ოპერაციის გაგრძელების, ისე ნავთობსადენის განახლების გეგმა, რაც გულისხმობს მუშაობას მარშრუტის შეცვლას და საბჭოთა პერიოდის ძველი მილების შეცვლას. ამის ფარგლებში განიხილება მილსადენის მონაკვეთის გადატანის შესაძლებლობის შესახებ ახალგორის რაიონიდან“.**

თამილა ჩანტლაძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი ჯერჯერობით მხოლოდ განიხილება და არანაირი კონკრეტული თარიღი და შეთანხმება ჯერ არ არსებობს. მან ასევე განაცხადა, რომ ერთადერთი მხარე, ვისთანაც საქართველოს ტერიტორიაზე მიპი დებს კონტრაქტებს და აწარმოებს მოლაპარაკებას, ესაა ქვეყნის მთავრობა.

მაგრამ საქართველოში ყველა როდი გამოდის ნავთობსადენის მარშრუტის შეცვლის შესაძლებლობის შესახებაც კი. პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ მთავრობამ საერთაშორისო გაერთიანებისაგან უნდა მოითხოვოს სტრატეგიული ობიექტების დაცვა და რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკის შეცვლა: **„დიახ, შესაძლებელია, ამ პოლიტიკამ მოგვცა საშუალება, მიგვეღწია კიდეც დადებითისთვის, მაგალითად შეგვემცირებინა დაძაბულობა. მაგრამ რა ფასი დაგვიჯდა მწვანილის, პამიდორისა და მანდარინების ექსპორტი რუსეთის ბაზარზე – ეს იყო საოკუპაციო ხაზის გაგრძელება და აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პრაქტიკული ანექსია. განა ეს ყოველივე ღირდა დიალოგად და „ურთიერთობათა გაუმჯობესებად?“** – კითხულობს და თავადვე იძლევა უარყოფით პასუხს თორნიკე შარაშენიძე.

სხვათა შორის, შარაშენიძის აზრს არ იზიარებს საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი შორენა ლორთქიფანიძე. იგი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, სხვა რამეს მიაქციოს ყურადღება: **„ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა ისედაც კარგად იციან, თუ რა ხდება და როგორ იქცევა რუსეთი რეგიონში. ვფიქრობ, საქართველოს მთავრობა არა მხოლოდ უნდა ყვიროდეს და მოუწოდებდეს დასავლეთს დახმარებისაკენ. თავისი რეფორმებით, დემოკრატიის განვითარებით ქვეყნის შიგნით ხელისუფლებამ უნდა დაარწმუნოს საერთაშორისო პარტნიორები, რომ საქართველოს კიდევ უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი მისი პრობლემის გადაწყვეტაში (რუსეთთან)“.**

შორენა ლორთქიფანიძე არაა აბაშიძე-კარასინის ფორმატის წინააღმდეგ, თუმცა მას ეჭვი ეპარება, რომ ეს მოლაპარაკებები შეძლებენ, გადაწყვიტონ საქართველოს სერიოზული პრობლემები.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

◎ საზეიმო შეკრება

უცხოეთის ცის ქვეშ

მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი სამხერდო ავიაკონსტრუქტორის, ჩვენი თანამემამულის ალექსანდრე ქართველიშვილის (ქართველიშვილის) ხსოვნის პატივმისაგებად საზეიმო ღონისძიება გაიმართა 14 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. სახელოვანი ამერიკელი ქართველი ავიაინჟინრის პატივსაცემად აკადემიის სხდომათა დარბაზში მრავალი სასიქადულო მეცნიერი, ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის, დიპლომატიური კორპუსის, მასმედიის წარმომადგენელი შეიკრიბა. საზეიმო ღონისძიების ორგანიზატორი ალექსადრე ქართველის (ქართველიშვილის) საერთაშორისო საზოგადოება, თემა კი „ალექსანდრე ქართველი და ქართულ-ამერიკული ურთიერთობები“ გახლდათ.

შესავალი სიტყვით დამსწრეთ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** მიმართა, რომელმაც შეკრებილთ მადლობა გადაუხადა ალექსანდრე ქართველის გახსენების დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაში მონაწილეობის მიღებისთვის.

– მეტად მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა, რომ ჩვენში ბატონ ალექსანდრე ქართველის საერთაშორისო საზოგადოება მოღვაწეობს. ეს იყო პიროვნება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ლეგენდად იქცა, – თქვა ბატონმა როინ მეტრეველმა. – 1919 წელს იგი სამშობლოდან წავიდა – ჯერ სასწავლებლად საფრანგეთში, შემდგომ ამერიკის შეერთებულ შტატებში და მას მერე უკან აღარ დაბრუნებულა, იქ გაატარა მთელი ცხოვრება, იქ იღვაწა. თავდაპირველად იგი მფრინავი იყო, შემდგომ ავიაკონსტრუქტორი გახდა და რამდენიმე მნიშვნელოვანი საავიაციო გამოგონებების ავტორი გახლდათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე მსოფლიო ომის დროს მის მიერ შექმნილი სამხედრო თვითმფრინავები, მათ შორის განსაკუთრებით ავიაგამანადგურებლები, რომელთაგან ზოგიერთის მოდერნიზებული ვარიანტები დღესდღეობითაც მწყობრშია.



ალექსანდრე ქართველის ხსოვნის პატივისცემას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დემოკრატიზაციის გზაზე მდგარ ჩვენს ქვეყანას, გლობალიზაციის პირობებში, ეროვნული განძის თუნდაც მცირედი ნაწილის დაკარგვის უფლება არა აქვს.

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა საზეიმო ღონისძიებაში მონაწილე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რიჩარდ ნორლანდს, რომელიც როტაციის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში სამშობლოში ბრუნდება, ნაყოფიერი მუშაობისთვის და ქართველი ხალხის მიმართ კეთილი განწყობისთვის წარმატება უსურვა მომავალ მოღვაწეობაში და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. მათ შორის აკადემიის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ კახეთში აღმოჩენილი ხუთი ათასი წლის ასაკით დათარიღებული ოქროს ლომის მცირე ქანდაკების ოქროს ასლი, აკადემიის მიერვე ინგლისურად თარგმნილი „ქართლის ცხოვრება“, ასევე ქართული ენციკლოპედიის ტომი, რომელშიც საზღვარგარეთ მოღვაწე ას გამორჩეულ ქართველს შორის ალექსანდრე ქართველის შესახებ სტატიაა მოთავსებული.

იხ. 11 გვ.

დედამიწის ზურგზე

„ოსვენციმის 94 წლის ბუხჰალტერი“ აღიარეს დამნაშავედ 300 ათასი პატიმრის მკვლელობაში ხელშეწყობისთვის

ოთხშაბათს გერმანიის სასამართლომ ოსკარ გრენინგს 4 წლის პატიმრობა მიუსაჯა ნაცისტური დანაშაულების გამო. მიუხედავად იმისა, რომ მას პირადად არავინ მოუკლავს, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ იმ ფულის აღრიცხვა, რომელიც ჩამოართვეს ბანაკში შემოსულ ტუსაღებს, მხარს უჭერდა ნაცისტურ რეჟიმს, რაც მასობრივ მკვლელობაში იყო პასუხისმგებელი. ადრე გრენინგმა აღიარა თავისი მორალური დანაშაული ხალხის დაღუპვის გამო.

ჩინეთის 100 წლის „ყველაზე შთამბეჭდავმა მოხუცმა ქალმა“ ისწავლა წერა-კითხვა

მასწავლებელი თავად მიდიოდა თავის მოსწავლესთან და ამეცადინებდა მას დღეში 2 საათი 10 დღის განმავლობაში. ქალმა ისწავლა 100-ზე მეტი იეროგლიფი, ახლა მას შეუძლია დაწეროს მარტივი სიტყვები და თავისი ბინის მისამართი. ადრე მას შეეძლო წაეკითხა მხოლოდ თავისი სახელი.

კერი და ზარიფი ნარდგენილები არიან 2016 წლის ნობელის პრემიაზე ირანის ბირთვული შეთანხმების გამო

ამის შესახებ განაცხადა განიარაღებისა და იარაღის გაუვრცელებლობის პროგრამის დირექტორმა ტარიკ რაუფმა. რაუფის აზრით, რომელსაც ადრე „მაგატეს“ კონტროლისა და უშიშროების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი ეკავა, ადრე დადებული შეთანხმებანი აღმოჩნდა ყველაზე მრავალმხრივი ბირთვული შეთანხმებები, რომლებიც დაიდო უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში.

„ნასამ“ ამერიკელებს უწოდა პირველი ხალხი, რომელიც იმყოფებოდა მზის სისტემის ყველა პლანეტაზე, რითაც პლუტონს არაფორმალურად დაუბრუნა ყოფილი სტატუსი

ამრიგად, „ნასამ“ დაასრულა პროგრამა, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ჯონ კენედის პრეზიდენტობის დროს. ამ დროს აღმოჩნდა, რომ პლუტონი უფრო დიდია, ვიდრე ადრე მიიჩნევდნენ: ჯუჯა პლანეტის რადიუსი კოსმოსური აპარატი“ ნიუ-ჰორიზონსის“ მონაცემებით, 1185 კილომეტრს შეადგენს. ის მაინც აღმოჩნდა ყველაზე დიდი ტრანსნეპტუნის ობიექტებს შორის.

ცნობა კიევში ჟურნალისტი ქალის მკვლელობის შესახებ, რომელიც თანამშრომლობდა საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „რუსეთი დღეს-თან“, ჭორი აღმოჩნდა

„სოციალურ ქსელებში გაჩნდა ცნობა კიევში საცხოვრებელი სახლის შესასვლელში ჟურნალისტის დახვრეტის შესახებ. დედაქალაქის მილიციის მუშაკებმა შეამოწმეს ეს ინფორმაცია – ამგვარი ცნობა ქალის მკვლელობის შესახებ არ შემოსულა“, – განაცხადეს უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროში. ვინმე მარგარიტა ვალენკოს „მკვლელობის“ შესახებ ცნობები გამოაქვეყნა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საშუალებამ.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტის დამატებითი დაფინანსება

კრედიტის № 5108-GE
პროექტის № P128863

დავალების სახელწოდება: E-60 ავტომაგისტრალის რუისი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის კმ95-კმ114 მონაკვეთის გასწვრივ სოფლის გზების მშენებლობისთვის დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება

კონტრაქტი/RFP № TEWHIP AF/CS/CQS-03
საიდენტიფიკაციო № TEWHIP AF PP, პუნქტი №16

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტის დამატებითი დაფინანსებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **"E-60 ავტომაგისტრალის რუისი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის კმ95-კმ114 მონაკვეთის გასწვრივ სოფლის გზების მშენებლობისთვის დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება".**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება პროექტთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის რესურსები და კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი. მოკლე სიის შეფასების კრიტერიუმები შემდეგია:

- ფირმის ზოგადი გამოცდილება;
- სპეციფიური გამოცდილება: სულ მცირე 5 მსგავსი დავალება (გზის დეტალური პროექტის მომზადება);

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის (2014 წლის ივლისის რედაქცია) გამოცემა, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებში – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") მოცემული კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის თანახმად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 09:00-დან 17:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2015 წლის 29 ივლისის, 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995-322-37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995-322-31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Third East-West Highway Improvement Project Additional Financing

Credit No. 5108-GE
Project No. P128863

Assignment Title: Preparation of Detailed Design and Bidding documents for Rural roads along the Ruisi-Agara-Agara Bypass Section of E-60 Highway km 95 – 114

Contract/RFP No: TEWHIP AF/CS/CQS-03
Reference No. TEWHIP AF PP, Item No.16

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third East West Highway Improvement Project Additional Financing and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Preparation of Detailed Design and Bidding documents for Rural roads along the Ruisi-Agara-Agara Bypass Section of E-60 Highway km 95 – 114".**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expression of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The shortlisting criteria are:

- General experience of the firm;
- Specific experience: at least 5 similar assignments in preparation of the Detailed Designs for the roads projects;

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may associate with other firms in the form of a joint venture or a sub-consultancy to enhance their qualifications. Please note that a form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Information on project related experience and assignments conducted should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A Consultant will be selected in accordance with the Consultants' Qualifications Selection method set out in the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines").

Further information can be obtained at the address below during office hours from 09:00 to 17:00.

Expressions of interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail) by **July 29, 2015, 17:00 hours**.

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

◎ ღირსეულნი

მინისტრმა ქართველ პარამეკლდეურებს მსოფლიო თასის ეტაპზე წარმატება მიულოცა

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი სამინისტროს შენობაში მდებარე მეკლდეურობის დარბაზს ეწვია და ავსტრიაში გამართულ მსოფლიო თასზე წარმატებულ ქართველ პარამეკლდეურებს შეხვდა.

მათ ქალაქ იმსტში გამართულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენთა მსოფლიო თასის ეტაპზე იასპარეზეს, სადაც 1 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მსოფლიო თასის ეტაპის გამარჯვებული ეტლით მოსარგებლე მერაბ დუკაშვილი გახდა, ბრინჯაოს მედალი კი უსინათლო გიორგი ლიპარტელიანმა დაიმსახურა.

მსოფლიო თასის აღნიშნულ ეტაპზე 16 ქვეყნის 42 პარასპორტსმენი მონაწილეობდა. ქართველ პარამეკლდეურებს შემდეგი შეჯიბრი ოქტომბერში ინგლისში ელით, სადაც მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი გაიმართება.

მეკლდეურობის დარბაზში მინისტრთან შეხვედრას სპორტსმენებთან ერთად საქართველოს მეკლდეურობის ფედერაციის წარმომადგენლები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ მირზა ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

ქართველებსა სიწითლითა...

ჩამპიონთა ლიგის სამშაბათის საკვალიფიკაციო რაუნდის 12 შეხვედრიდან მსაჯებმა ერთადერთი მოთამაშე გააძევეს მინდვრიდან და ისიც გორის „დილას“ მაისურით იბრძოდა სერბი პარტიზანების წინააღმდეგ.

გუგა ფალავანდიშვილზე მოგახსენებთ, რომელმაც 82-ე წუთზე საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან დაარღვია წესი, გერმანელ შაოსან დანკერტს მეორე ყვითელი ბარათი დასტყუა და ბაბოვიჩს გადამწყვეტი გოლი გაატანინა — 1:0.

ეს რომ ჩვენს თანამემამულეთა პირველი ან მეორე დისციპლინური გადაცდომა იყოს, შეიძლებოდა რამდენიმე „სმენშნო“ სიტყვით შემოვფარგლულიყავით, მაგრამ რადგან მანკიერ ტენდენციად ყალიბდება, პირუთვნელად უნდა ვაღიაროთ: ვინაიდან ფეხბურთის თამაში კარგა ხანია დაგვავიწყდა, ოსტატობის დეფიციტის კომპენსირებას აკრძალული ილეთებით ვცდილობთ. ასე დაემართა ევროპის ლიგაზე მოასპარეზე ქართული ტრიოს სრულ შემადგენლობას (თბილისის „დინამოს“ — ორჯერვე, აგრეთვე „ცხინვალსა“ და „ბათუმს“) და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის ახალ ჩემპიონ გორის „დილას“ ბელგრადში „პარტიზანთან“, თანაც, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, თითოეულ წყვილში უპირატესობას მეტოქენი ფლობდნენ.

კიდევ კარგი, შიდაქართლელებს მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო და შანსი კიდევ აქვთ. ვიმედოვნებთ, საპასუხო მატჩში ამას ისინი ისე შეძლებენ, რომ კორიდის ხარივით არბიტრს მორიგ წითელს არ ააფრიალებინებენ.

დანარჩენი შედეგები: „სარაევო“ — „ლეხი“ 0:2, „მარიბორი“ — „ასტანა“ 1:0, „ტრენჩინი“ — „სტიაუა“ 0:2, „ჰიბერნიანსი“ — „მაკაბი“ 2:1, „ლანსტანფრეიდი“ — „ვიდეოტონი“ 0:1, „მიოლდე“ — „პიუნიკი“ 5:0, „ლუდოგორეცი“ — „მილსამი“ 0:1, „სკენდერბეუ“ — „კრუზეიდერსი“ 4:1, „აპოელი“ — „ვარდარი“ 0:0, „ვენტსპილსი“ — „ჰიკი“ 1:3, „მიდტიულანდი“ — „ლინკოლნი“ 1:0.

გიორგი შოთაძე

◎ პერსონა

სებასტიან ლოები შეიძლება WRC-ში დაბრუნდეს

არაა გამორიცხული, რომ მომავალი სეზონიდან სებასტიან ლოები რალის მსოფლიო ჩემპიონატს დაუბრუნდეს და მეათე ტიტულისთვის იბრძოლოს. WRC-ში შესაძლო დაბრუნების თაობაზე მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონთან დალაპარაკებას „სიტროენის“ გუნდის შეფი ივ მატონი აპირებს.

ამჟამად ლოები ტურინგის კლასში მაოფლიო ჩემპიონატზე (WTCC) სწორედ „სიტროენის“ გუნდის მანქანით ასპარეზობს, მაგრამ ამ სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება. თუმცა, იმავდროულად, ის ფრანგული კომპანიის კეთილი ნების ელჩია და მის ინტერესებზე ზრუნავს. 41 წლის ლოები პერიოდულად WRC-ს ცალკეულ რბოლებშიც ასპარეზობს და ერთხელ პაიკს პიკის აღმართის რბოლაშიც გამოვიდა (პეჟოს სპეციალური ავტომობილით), სადაც სარეკორდო დროით გაიმარჯვა.

„ამჟამად რალის მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი სისუსტე ისაა, რომ იქ მხოლოდ ორი ისეთი მრბოლია, რომლებსაც რბოლების დატიტულების მოგება შეუძლიათ. მათგან ერთი, სებასტიან ოჟიე, ელიტურ ჩემპიონატში ასპარეზობს, მეორე კი — ლოები, ტურინგის ჩემპიონატშია“, — ამბობს მატონი.

ბრიტანულ გამოცემა „ავტოსპორტის“ კითხვაზე, აპირებს თუ არა WRC-ში ლოების მიწვევას, „სიტროენის“ შეფი პასუხობს: „სებასტიანი ჩვენი ბრენდის ელჩია და მომავალშიც ასე იქნება. ჩვენ ვილაპარაკებთ მის სამომავლო გეგმებზე, რას აპირებს მომავალ სეზონში. ვფიქრობ, მას მოსწონს, რასაც ახლა აკეთებს. რა თქმა უნდა, ხანდახან არაა სასიამოვნო, როცა მოგებას ვერ ახერხებ, მაგრამ ისიც ჩვეულებრივი ამბავია, როცა მასავით ჩემპიონი ხარ და ყოველ უქმეზე გამარჯვება გსურს. მაგრამ ეს გაცილებით რთულია WTCC-ში, ვიდრე WRC-ში იყო, რადგან აქ გამარჯვება უფრო მეტს შეუძლია. გვინდა, მას WRC-ში დაბრუნება შევთავაზოთ, მაგრამ არ მგონია, რომ მან სრულ ჩემპიონატში ასპარეზობა ისურვოს“.

ახლახან ლოებმა „პეჟოს“ სარბოლო 2008 DKR-ის ტესტებში მიიღო მონაწილეობა, რომელიც დაკარის რალი — მარათონში საასპარეზოდ ემზადება. და არაა გამორიცხული, რომ დაკარზე ფრანგი სუპერვარსკვლავიც ვიხილოთ. ამ შემთხვევაში WRC-ს სრულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება.

კობა კობახიძე

◎ რაგბი

მილტონ ჰეიგი: პროგრესით კმაყოფილნი ვართ და მიმაჩნია, რომ დასახულ მიზანს ვუახლოვდებით

საქართველოს სარაგბო ნაკრები მთელი ძალით ემზადება მსოფლიო თასისთვის და „შევარდენზე“ შეკრებას აგრძელებს. მილტონ ჰეიგის თაოსნობით და ქელვინ მორისის ფიზმომზადების პროგრამით „ბორჯღალოსნებმა“ ინსტენსიური, ფიტნესზე ორიენტირებული შეკრების პირველი ორი კვირა ჩაამთავრეს. მზადების პროცესის პირველ შესვენებამდე ბიჭებს კიდევ ერთი კვირის გავლა მოუწევთ, რომელიც სამწვრთნელო შტაბის თქმით უფრო დატვირთული იქნება.

მილტონ ჰეიგი პირველ ორ კვირას აფასებს

„ძალიან რთული და დატვირთული პირველი კვირა გვქონდა, რომლის დროსაც მოთამაშეებიც და მწვრთნელებიც გვარიანად დავიღალეთ, მაგრამ ასეთი შეკრების პირველი კვირისთვის ეს გასაკვირი არაა. რიგ შემთხვევებში დღეში ოთხი ვარჯიშიც კი გვქონდა, რომლებსაც ადრე ვიწყებდით და გვიან ვამთავრებდით. ბიჭებმა პროცესზე ადაპტირება ბრწყინვალედ შეძლეს და უკვე მეორე კვირას საგრძნობლად გააუმჯობესეს მაჩვენებლები. ახლა ყველა ვარჯიშს პირველ კვირასთან შედარებით ბევრად უკეთესად ასრულებენ.

რა თქმა უნდა, პროგრესით კმაყოფილნი ვართ და მიმაჩნია, რომ ვუახლოვდებით დასახულ მიზანს. ციფრებსა და სტატისტიკურ მონაცემებსაც რომ ვუყურებთ, გაუმჯობესება სახეზეა. დილაობით უფრო მხნედ არიან, ბევრად გვიან იღლებიან და, შესაბამისად, მეტსაც ძლებენ.

უფრო ინსტენსიური მესამე კვირა

„მესამე კვირა ბევრად უფრო რთული იქნება. რამდენიმე მოთამაშეს შედარებით უჭირს კონკრეტულ დავალებასთან გამკლავება, მაგრამ ეს სავსებით მისაღებია, რადგან ზოგს ტრავმის დიდხნიანი რეაბილიტაციის პროცესი, დანარჩენებსაც ბოლო პერიოდის განმავლობაში ინტენსიური ვარჯიშები არ ჰქონია, მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ბოლომდე იხარჯება და ვარჯიშზე ძალ-ღონეს არ ზოგავს.

ვარჯიშში ახალი ელემენტებიც გვაქვს, მაგალითად, ჭიდაობის ელემენტები, რომელსაც ყველა ენთუზიაზმით ეკიდება. საჭიდაო დარბაზში ბოჭვის ტექნიკასა და კონტაქტზე მუშაობისას აღარ ვფიქრობ დავარდნაზე და ზიანის მიღებაზე.

მაღალი დონის ფიზმომზადება, რა თქმა უნდა, მოთამაშეების სარაგბო ოსტატობაზეც დადებითად მოქმედებს. როდესაც ძალაგამოცლილნი არ არიან, უფრო სხარტადაც აზროვნებენ და ბურთის ფლობის ტექნიკასაც უკეთ აქცევენ ყურადღებას. ტექნიკის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა თამაშებს და სავარჯიშოებს ვასრულებთ“.

პირველი ფაზის დასრულებისას

„პირველი ფაზის დამაგვირგვინებელი კვირის ბოლოსკენ იგივე შედეგს ველით, რომ მოთამაშეები გვარიანად დაიღალონ. რა თქმა უნდა, დატვირთვას შედარებით მოვუმატებთ. შეკრების დასაწყისში გარკვეული მიზანი დავისახეთ და, დარწმუნებული ვარ, რომ კვირის ბოლოსკენ ამ მიზანს მივუახლოვდებით“.

მსოფლიო თასისწინა შეკრების პირველი, სამკვირიანი ფაზის დასრულების შემდეგ „ბორჯღალოსნები“ ერთ კვირას დაისვენებენ. მომზადების მეორე ფაზა „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე 9-დღიანი შეკრებით განახლდება, რომლის შემდეგ ნაკრები პოლონეთში გაემგზავრება, სადაც 10 დღის განმავლობაში კრიოთერაპიის დახმარებით განაგრძობს მომზადებას.

სპეციალური კრიოკაბინები ფორმაში ჩადგომის მაქსიმალურად სწრაფ ეფექტს იძლევა. ეს ეტაპი ასევე ფიზმომზადებას დაეთმობა. რაც შეეხება სარაგბო კუთხით ვარჯიშს, ის მხოლოდ ინგლისში შეკრებაზე გამგზავრების შემდეგ დაიწყება, როდესაც ნაკრები საბოლოო მოსამზადებელ ეტაპზე გადავა.

პოლონეთის შემდეგ „ბორჯღალოსნები“ ერთ კვირას შინ დაისვენებენ და 24 აგვისტოს მსოფლიოსთვის მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ფაზის გასავლელად ინგლისში გაემგზავრებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ხედირასა და გერცკეს ტრფობა დასრულდა

რამდენიმე წლის წინათ მაღრიბული ფესვების მქონე გერმანელი ფეხბურთელი სამი ხედირა ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, თუ იტალიაში გადაბარგდებოდა სათამაშოდ და ტურინის „იუვენტუსის“ მაისურს მოირგებდა. იმ დროს ვერც მისი გულისსწორი წარმოიდგენდა, თუ ასე მალე დადგებოდა ჟამი მათი განშორებისა.

სამი ხედირას სატრფო, ცნობილი გერმანელი მოდელი ლენა გერცკე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხედირას ფაქტობრივი მეუღლე იყო და ყველა ფიქრობდა, რომ მათი თანაცხოვრება აუცილებლად დასრულდებოდა ქორწინებით. თუმცა, ამ რამდენიმე დღის წინათ სრულიად საპირისპირო რამ მოხდა.

ჯერ სამი ხედირამ განაცხადა და შემდეგ უკვე ლენამაც დაადასტურა, რომ ეს წყვილი ოფიციალურად დაშორდა ერთმანეთს და ამ დაშორების უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ ლენას იტალიაში არ სურდა გადაბარგება. მართალია წყვილს შორის გაწევ-გამოწევას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ როგორც გერმანული ბულვარული მედია წერს, ხედირა გვარიანად გულდაწყვეტილი კი იყო. ასეთი ქალის ხელიდან გაშვება, ალბათ, ნამდვილად არაა ადვილი საქმე.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ საზეიმო შეკრება

უცხოეთის ცის ქვეშ

(მერვე გვერდიდან)

ბატონმა როინ მეტრეველმა სამახსოვრო წიგნები გადასცა ასევე თბილისის მერს დავით ნარმანიასა და თავდაცვის მინისტრს თინა ხიდაშელს.

თავის გამოსვლაში თბილისის მერმა **დავით ნარმანიამ** მადლობა გადაუხადა მეცნიერებათა აკადემიას საზეიმო ღონისძიების გამართვისთვის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს რიჩარდ ნორლანდს საქართველოში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის და წარმატება უსურვა მას მომავალ საქმიანობაში.

— დიდად მნიშვნელოვანია, რომ ქართველმა კაცმა ქვეყნის საზღვრებს გარეთ ასეთ დიდ წარმატებასა და აღიარებას მიაღწია, ამდენად, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, ყოველგვარ დახმარებას აღმოვუჩენთ საზოგადოებას მის მოღვაწეობაში, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

— ალექსანდრე ქართველის სახელი განსაკუთრებით აქტუალურია ქართულ-ამერიკული ურთიერთობებისთვის, — აღნიშნა საერთაშროისო საზოგადოების პრეზიდენტმა **ლელა ქართველიშვილმა.** — 1917 წელს მან თბილისში იუნკერთა სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ საავიაციო განათლება პარიზში მიიღო, მისი წარმატებული კარიერა ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპანია „სევერსკიში“ დაიწყო. მან სამხედრო თვითმფრინავის 14 მოდელი შექმნა. იგი 1974 წელს ნიუ-იორკში გარდაიცვალა, სადაც დასაფლავებულია.

შემდგომ ქალბატონმა ლელა ქართველიშვილმა დამსწრეთ ალექსანდრე ქართველის ბიოგრაფია და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები გააცნო. მან ასევე ილაპარაკა საზოგადოების მიზნებზე, კერძოდ, ქართული ავიაციის განვითარების ხელშეწყობაზე, ქართველი მეცნიერებისა და ინჟინრების შემოქმედების კვლევისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე.

თავის მხრივ, თავდაცვის მინისტრმა **თინა ხიდაშელმა** ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბატონ ალექსანდრე ქართველის ისტორია თვალნათლივ მეტყველებს, თუ რამდენი და რა დააკარგვინა საქართველოს გასაბჭოებამ.

— ის ხალხი მუდამ უნდა გვახსოვდეს, ვინც, ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ქართველთა დარად, საქართველოს უცხოეთში სახელი და დიდება მოუტანა, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა და დასძინა, რომ გაისად, როცა ალექსანდრე ქართველის დაბადებიდან 120 წელი შესრულდება, სამინისტრო აქტიურად ჩაებმება საიუბილეო ღონისძიებებში.

სიტყვებით გამოვიდნენ ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **სათუნა თოთლაძე** და ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **რიჩარდ ნორლანდი,** რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ ალექსანდრე ქართველის გახსენების საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა, საქართველოში მისიის დასრულების გამო, მისთვის ბოლოა ოფიციალური სტატუსით.

— ამ პროექტმა ჩემი ყურადღება საქართველოში საქმიანობის დაწყებისთანავე მიიპყრო. ეს ძალიან საინტერესო ამბავია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ იგი არც რუსი იყო, არც საბჭოთა მოქალაქე. სიმართლე გითხრათ, საკუთარი ჩანაფიქრის ფრთაშესხმა ვერ შევძელი — მინდოდა საქართველოში ალექსანდრე ქართველის შექმნილი თვითმფრინავი ჩამომეყვანა, თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ ამის გაკეთებას მომავალში შევძლებ. ისიც მინდა გითხრათ, რომ, ბატონი ალექსანდრე ქართველის სახით, საქართველომ პირველმა იზრუნა ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებაზე, ახლა კი დროა ამერიკამ ვალი დაუბრუნოს საქართველოს.

საქართველოში მისიის დასრულებასთან დაკავშირებით, ალექსანდრე ქართველის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტმა ლალი ქართველიშვილმა ელჩს სამახსოვრო მედალი და სიგელი გადასცა.

საზეიმო ღონისძიების დასასრულ, ალექსანდრე ქართველის ბიოგრაფიის აქამდე უცნობი დეტალები დამსწრეთ ეროვნული არქივის საისტორიო განყოფილების დირექტორმა **ანტონ ვაჭარაძემ** გააცნო.

ოთარ ტურაბელიძე

ენვერ, ვიოლა, ირაკლი, თამარ ჩიქავები, ალეკო, თალიკო ჩიქავები ოჯახებით, ნელი ჩიქავა-ნოდია, მანანა, ზვიად ნოდიები, ახალკახათელი ჩიქავები იუწყებიან უახლოესი ნათესავის, გვარის წინამძღოლის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის

ლეო ლავრენტის ძე ჩიქავას

გარდაცვალებას. თანავუგრძნობთ შვილებს გიორგის, მედეას, დას მზიას, რძლებს მიმოზა მიქავას, დალი ბერულავას, სიძე ალექსანდრე სიჭინავას, შვილიშვილებსა და ნათესავებს.

ვვედრით უფალს — ნათელში ამყოფე უაღრესად ზნეკეთილი კაცის ბატონი ლეოს სული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მელიორაციის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს საინჟინრო, ენერგეტიკის, კვების მრეწველობის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, ჰიდრავლიკური კვლევების საერთაშორისო ასოციაციისა და ისრაელის ინჟინერ-ენერგეტიკოსთა ასოციაციის, მრავალი სამეცნიერო ცენტრის ექსპერტი, 3 სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ღირსების ორდენისა (2010 წ.) და საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემიის (2011 წ.) მფლობელი

თეიმურაზ ლევანის ძე გველესიანი

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება სამძიმარს უცხადებს აკადემიკოს ავთანდილ (ბიძინა) კორახაშვილს დის

თინათინ კორახაშვილის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 16, 17 VII, 17 სთ. გამოსვენება 18 VII, 14 სთ. მისამართი: დიღმის მასივი, მე-2 კვ., მე-15 კორპ.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87; 568 82-09-84..

◎ ტრანსპორტი

რამდენად სანდოა „საავტომობილო კუზანოვების“ ნახელავი?

საჭის გადატანისას საკმარისია ერთი ქანჩის არასწორად მორგება და ამას ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვება, თითოეული არასწორი მოქმედება საფრთხის შემცველია — ასე აფასებენ სპეციალისტები მარჯვენასაჭიან მანქანებში საჭის მარცხენა მხარეს გადატანას.

აიკრძალება თუ არა მარჯვენასაჭიანი მანქანების იმპორტი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, საგზაო მოძრაობის სპეციალისტების თქმით, იმის გარდა, რომ მარჯვენასაჭიანი მანქანების მძღოლებს მოძრაობისას გარკვეული პრობლემები ექმნებათ, „ქირურგიული ჩარევა“ დაუშვებელია.

AMBEBI.GE-სთან საუბრისას საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი, საკრებულოს წევრი შალვა ოგბაიძე ამბობს, რომ საავტომობილო მექანიკაში ნებისმიერი ჩარევა, თუ ის არაკვალიფიციურად კეთდება, საფრთხის შემცველია.

„არსებობს განსაკუთრებული წესები, რომელიც ავტომობილის მოდიფიცირება-გადაკეთებას ეხება. ეს შეიძლება იყოს ავტომობილისთვის ერთი ზომით მეტი საბურავის დაყენება ან აგრეგატის შეცვლა — ეს მკაცრად რეგლამენტირებულია და გადაკეთების უფლება სპეციალური ნებართვით აღჭურვილ დაწესებულებებს აქვთ. ბუნებაში არ არსებობს წესი, რომელიც ამ ჩამონათვალში საჭის გადატანის რეგლამენტირებას გააკეთებს იმიტომ, რომ საჭის გადატანას მოჰყვება მუხრუჭების სისტემის გადაკეთება, ამას მოჰყვება შესაბამისი ელექტროობის გადაკეთება, ეს ურთულესი პროცესია. ავტომწარმოებლები უშვებენ როგორც მარჯვენასაჭიან, ისე მარცხენასაჭიან მანქანებს და კლიენტს არჩევანის უფლება აქვს. საკმარისია ერთი ქანჩის არასწორად დაფიქსირება, ჩათვალეთ, რომ ის ქანჩი ხრახნიდან ამოიხრახნება და შეიძლება საჭის გარეშე დავრჩეთ მაშინ, როდესაც ავტომობილი 120 კილომეტრ-საათი სიჩქარით მოძრაობს. აღარაფერს ვამბობ არაკვალიფიციურად გადატანილ სამუხრუჭე მექანიზმზე; საკმარისია პატარა უზუსტობა და ჩათვალეთ, რომ ის მუხრუჭი მანქანას აღარ დაიჭერს“, — ამბობს შალვა ოგბაიძე.

რა საფრთხეებს შეიცავს მარჯვენა საჭის გადატანა და რა ღირს მისი შეცვლა თბილისში?

ოგბაიძის ინფორმაციით, თბილისში არის რამდენიმე ფირმა, რომელთაც მარჯვენა მხარეს არსებული საჭე უმტკივნეულოდ გადააქვთ, მაგრამ, მისივე თქმით, ნდობა არ შეიძლება და საფრთხე მუდამ არსებობს. **„საჭის გადატანა ავტომობილზე ძალადობაა, მიიღეთ ისეთი, როგორიც გინდათ. თუ არ გინდათ მარჯვენასაჭიანი ავტომობილი, შეიძინეთ მარცხენასაჭიანი, მაგრამ ნუ ეცდება ნურავინ, რომ „გარაჟებში“ და საეჭვო წარმოშობის დაწესებულებებში ე.წ. ბალგარკით ამოჭრან მზიდი ელემენტები, რაც ავარიის წინაპირობაა. თბილისში არ არსებობს ორგანო, რომელიც აკრედიტაციას გაუკეთებს ისეთ პროფილაქტიკას ან ავტოსერვისს, სადაც საჭე გადააქვთ, ეს არის ტყუილი. რაც შეეხება საჭის გადატანის ფასს, ის 400-იდან 1500 დოლარამდე ადის. ეს დამოკიდებულია იმაზე, სჭირდება თუ არა მანქანას „საავტომობილო კუზანოვი“, რომელმაც საჭე უნდა ამოჭრას და ჩაადულოს, ეს უკანასკნელი კი ძვირი პროცესია“,** — ამბობს შალვა ოგბაიძე.

ჟურნალ „ავტო ბილდ საქართველოს“ მთავარი რედაქტორის შაკო ბუაჩიძის თქმით, მარჯვენასაჭიან მანქანებზე იმპორტის შეზღუდვა საჭიროა, **რადგან დროთა განმავლობაში მძღოლები საჭის მარჯვენა მხარეს მართვას მიეჩვევიან და ამ სახის მანქანების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, მოძრაობა კი უფრო გართულდება. „ვეთანხმები იმას, რომ მარჯვენასაჭიანი მანქანების იმპორტი შევზღუდოთ იმიტომ, რომ დღეს უფრო მეტი მარჯვენასაჭიანი მანქანა შემოდის, ვიდრე მარცხენასაჭიანი. შესაბამისად, ხალხი უკვე მარჯვენასაჭიანს ყიდულობს და იმდენად მიეჩვევიან, რომ მარცხენასაჭის მართვა გაუჭირდებათ. ეს ტენდენცია საშიშია, 5-6 წლის მერე მარჯვენასაჭიანი მანქანების რაოდენობა და მასზე დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზრდება. მარჯვენასაჭიანი მანქანის მძღოლებს ტრასაზე სერიოზული პრობლემა ექმნებათ, რადგან როცა გასწრებაზე გადიხარ, მარჯვენა მხარეს არსებული საჭიდან წინ მიმავალ მანქანებს ვერ დაინახავ, ეს პროცესი ქალაქში ნაკლებად სახიფათოა. საჭის გადატანას ჯობია იყოს მარჯვენასაჭიანი ქარხნული მანქანები იმიტომ, რომ მანქანის იდეალური მდგომარეობა არის ქარხნული წარმოება, ანუ ისეთი როგორიც თავიდან იყო. შეიძლება, ვიღაცამ საჭე კარგად ან ცუდად გადაიტანოს, მაგრამ ჯობია წესი არ დავარღვიოთ და საჭე იყოს იმ მხარეს, სადაც თავდაპირველად გააკეთეს“,** — ამბობს შაკო ბუაჩიძე.

თაკო ესებუა

ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2015 წლის 10 სექტემბერს, ხუთშაბათს 15:00 საათზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში დაგეგმილია E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის კმ30-კმ42 მონაკვეთის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის პროექტი და არატექნიკური რეზიუმე ხელმისაწვდომია:

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე (ელექტრონული ვერსია) www.moe.gov.ge;

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე (ელექტრონული ვერსია): www.georoad.ge; ;

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (ამობეჭდილი ვერსია).

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს:

მედგარ ჭელიძე ტელ: 599 162221; medgarcorresp@yahoo.com

გია სოფაძე ტელ: 599 939209; gia.sopadze@georoad.ge შენიშვნების მიღების ბოლო ვადაა 2015 წლის 28 აგვისტო.

ქართული ცეკვის ჯადოქარი

მეფური დიდებულებით სრულყოფილი კაცი

ომარ მხეიძეს 80 წელი შეუსრულდა

ქართული ცეკვის ჯადოქარს, ადამიანურ ურთიერთობათა დიდოსტატს, მეფური დიდებულებით სრულყოფილ კაცს – ომარ მხეიძეს 80 წელი შეუსრულდა.

„ქართული ერთობის დარბაზი“ ამყობს, რომ, მართლაც სახალხო აღიარების „პატივდების სიგელს“ – მერაბ ბერძენიშვილის უკვდავი ქმნილებით „კიდევაც დაიზრდებიან“ ქართული კულტურისა და ხელოვნების ქურუმებთან – რეზო ჩხეიძესთან, ანზორ ერქომაიშვილთან, გივი თოიძესთან, ტარიელ ხარხელაურთან, თემურ გუგუშვილთან, არნოლდ გეგეჭკორთან, რომან რურუასთან, გიგა ბათიაშვილთან ერთად – ომარ მხეიძე აწერს ხელს, რომ მისი ხელმოწერაა ჩვენი დროის ერთ-ერთ გამორჩეულდ ქართულ მანიფესტზე „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო!“ ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ მისი თანამედროვენი ვართ, რომ მასთან ერთად ვართ.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შექმნილ „ქართული ერთობის დარბაზში“ – ვმონაწილეობთ „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა, საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის „მზადებაში, რომ მასთან ერთად ვფიქრობთ მომდევნო წელს, გენიალური შოთა რუსთაველის 850 წლისთავის მსოფლიო მასშტაბით აღნიშვნაზე..... რომ ჩვენი ოცნებაა ერისა და ბერის, მთელი საქართველოს, საქართველოს ნამდვილ მეგობართა მხარდაჭერით, შეძლებულთა დიდსულოვნებით, შეიქმნას ნამდვილად სახალხო, ნამდვილად ქართული, რეალურად დემოკრატიული და მართალი ტელევიზია. ტელევიზია, რომელიც თავისუფალი იქნება სიძულვილისაგან და კი არ დაგვაპირისპირებს, გაგვაერთიანებს. სწორედ ასეთ დიდ საქმეებზე ვფიქრობთ არნახულად შემართულ 80 წლის ომარ მხეიძესთან ერთად, მართლაც, თაობათა ერთიანობის „ქართული ერთობის დარბაზში“. ღმერთო,უმრავლეს საქართველოს ასეთი კეთილშობილი, ასეთი ალალი და წრფელი, ასეთი სრულყოფილი, ასეთი ღიმილიანი და კაცთმოყვარე, ახალგაზრდობაზე შეყვარებული ადამიანები!

„ქართული ერთობის დარბაზის“ სახელით

აღმასრულებელი საბჭოს და „ქართულის“ წევრები: რამაზ ჟურაშვილი, რამაზ ლომინაძე, გიორგი კანდელაკი, ოთარ შამათავა, მერაბ თავაძე, ავთანდილ ჩხაიძე, მიხეილ ჩიკვილაძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, დავით გველესიანი, გოგი ჯაოშვილი, ემილ მიქაია, ოლეგ ნიკოლეიშვილი, ჯონი ჯანელიძე, როლანდ კილაძე, ლეონ ფირცხალავა, ლაური ჯანაშია, ირაკლი მაჭავარიანი, ვასილ დავითაია, ნესტან შონია, ზაურ გამსახურდია, გიორგი სიგუა, კონსტანტინე ვერულაშვილი, ალექსი კობაიძე, გიგა მჭედლიშვილი, ავთანდილ იოსელიანი, მურად ანჯაფარიძე, ნიაზ ბოლქვაძე, ლევან ნინიძე, ჯონი ბარამიძე, გივი გაგნიძე.

15 ივლისი, 2015 წელი.

მშობლებო, ყურადღებით წაიკითხეთ!

გენიოსები, რომლებსაც წერა-კითხვა უჭირდათ

გადმოცემის თანახმად, მოცარტი გაჭირვებით კითხულობდა, არც ჩერჩილის კითხვის ტექნიკით იყვნენ მასწავლებლები აღფრთოვანებულნი, ასევე მოიკოჭლებდა კითხვაში სიმდიდრით ცნობილი როკფელერი. სამივეს ერთი პრობლემა ჰქონდა - დისლექსია.

როგორ მოახერხეს მათ წარმატების მიღწევა, დღესაც გამოცანაა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სწორედ „დარღვევაა“ ხშირად გენიალურობის მანიშნებელი. მათი ტვინი სხვაგვარად არის მოწყობილი, შესაბამისად, იდეებიც სხვანაირი მოსდით, გენიალური.



როცა ნაკლი უპირატესობაა

აინშტაინი, ლეონარდო და ვინჩი, ნიუტონი და ფარადეი ძალიან ცუდად კითხულობდნენ და არითმეტიკასთანაც მწყრალად იყვნენ.



აინშტაინი ცუდად სწავლის გამო სკოლიდანაც გარიცხეს. ამის მერე ბიჭუნას აღზრდას ბიძამ მოკიდა ხელი, რომელიც ხედავდა, რომ ბავშვი ლამის ჩვილობიდან ავლენდა ფიზიკისადმი ინტერესს. სწავლა ადვილი არ ყოფილა, მაგრამ გენიოსობა ხომ ისაა, რომ მსოფლიო აიძულო, გადახედოს დადგენილ წესებს, და განავითარო.

ეს გენიოსები ძლიერი წარმოსახვითი და სივრცითი აზროვნების უნარით იყვნენ დაჯილდოებულნი. ეს უნარები დაეხმარათ მათ დიდი აღმოჩენების გაკეთებაში.

ცნობილმა დისლექსიკმა და დისგრაფიკმა (კითხვისა და წერის უუნარობა) **ედისონმა** ფონოგრაფი გამოიგონა, რათა ინფორმაციის გადმოცემის ეს მტანჯველი ხერხები თავიდან აეცილებინა.



დისლექსია მხოლოდ მეცნიერთა პრობლემა არ არის. ჰოლივუდის ბევრმა ვარსკვლავმა ნორმალურად კითხვა და ანგარიში არ იცის. ამიტომ როლებს ხმით სწავლობენ. ვინ არიან ეს ცნობილი მსახიობები? **სალმა ჰაიეკი, კიანუ რივზი, ვუპი გოლდბერგი, მერილინ მონრო, ტომ კრუზი, გაი რიჩი, შერი, დასტინ ჰოფმანი...**

სამსახიობო ხელოვნება ის სფეროა, რომელიც დისლექსიკებს, დისგრაფებსა და დისკალკულიტებს (ანგარიშის უუნარობა) თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. როგორ წესი, ასეთი ხალხი შემოქმედებითად კარგად არის განვითარებული. მათ წარმატებაში კი მშობლებს უდიდესი წვლილი მიუძღვით – მათ შეძლეს და თავიანთ „პრობლემიან“ შვილებში ძლიერი მხარეები დაინახეს, შემდეგ კი განავითარეს ეს ძლიერი მხარეები.

თუ ასეთ ბავშვებს სკოლაში ხელს არ შეუწყობენ, დასცინებენ, ტრავმას მიაყენებენ, საეჭვოა, რომ წარმატების მიღწევა შეძლონ.

ნაკლი ნებისყოფას წვრთნის

ბევრი წარმატებული ადამიანისთვის მსგავსი პრობლემები ხასიათის ჩამოყალიბების, ნებისყოფის განმტკიცების მოტივად იქცა. მათი წყალობით ისწავლეს სიძნელეების გადალახვა და საკუთარ თავზე მუშაობა.

მაგალითად, ცნობილმა მეზღაპრემ **ჰანს ქრისტიან ანდერსენმა** კითხვა 10 წლის ასაკში ისწავლა, ნორმალურად წერა კი ცხოვრების ბოლომდე ვერ აითვისა. ხელნაწერი რამდენჯერმე დაუბრუნეს უკან, რათა გამართულად და გასაგებად დაეწერა. ის ბევრს შრომობდა, წერდა და წერდა, თუმცა, ძალიან უჭირდა. საბოლოოდ კი დადგა ის, ვინც დადგა.

დაახლოებით იგივე პრობლემები ჰქონდა მსოფლიო დეტექტივების „დედოფალს“ – **აგათა კრისტის**. მას დისგრაფია აწუხებდა და დიდი დრო დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ დებილი არ იყო. რედაქტორები ამრეზით უყურებდნენ და მოითხოვდნენ, უფრო გასაგებად წერეო. კიდევ კარგი, რომ ფარხმალი არ დაყარა და რედაქტორებამდე მიიტანა თავისი წიგნების გენიალურობა. აი, ეს არის მტკიცე ნება.

ასე რომ, ნუ იჩქარებთ და ნუ წაეჩხუბებით შვილს ცუდი ხელწერის ან „ბლუკუნით“ კითხვის გამო. დაეხმარეთ ყველანაირად, რომ განვითარდეს. თუ პრობლემა სერიოზულია, მიმართეთ სპეციალისტს და ის გირჩევთ, როგორ მოიქცეთ. თუმცა, ფარ-ხმალი არც ამ შემთხვევაში უნდა დაყაროთ – ყველა ადამიანს აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ნიჭი, რომელსაც აუცილებლად სჭირდება დანახვა და განვითარება. სწორედ ამაშია მშობლის ერთ-ერთი ყველაზე რთული და აუცილებელი ამოცანა. ვინ იცის, იქნებ თქვენი შვილი, რომელიც ახლა ვერ გახარებთ ათიანებით და სწრაფი აზროვნებით, სინამდვილეში სულ სხვა სფეროშია ნიჭიერი და მომავალი გენიოსიც კი გყავთ გვერდით?

mshoblebi.ge

კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

– **ჩემმა** საყვარელმა გაიგო, რომ საქმრო მყავს. ახლა ორივე ჩემთან მოდის. რა ვქნა?

– იქნებ ქმარს დაურეკო?

* * *

– **როგორ** ფიქრობთ, ჩვენი დაშა მომღერალი უფრო გამოვა თუ მოცეკვავე?

– ალბათ, უფრო მოცეკვავე.

– თქვენ რა, ნახეთ, როგორ ცეკვავს იგი?

– არა, გვესმოდა, როგორ მღეროდა.

* * *

– **იცი**, რომ ერთხელაც არ მიღალატია ქმრისთვის?

– ტრაბახობ თუ წუწუნებ?

* * *

საგზაო ნიშანი. მასზე წარწერა: „აქ სკოლაა. ნელა გაიარეთ. ნუ მოკლავთ ბავშვს“. ქვემოთ ბავშვური ხელით არის მიწერილი: „დაელოდეთ მასწავლებელს“...

* * *

კითხვაზე – ვმეგობრობ თუ არა ალკოჰოლთან, – გიპასუხებთ:

– არა, არ ვმეგობრობ, მაგრამ ურთიერთობა მაქვს.

* * *

– **და** რატომ გაშორდით ერთმანეთს?

– რატომ და... იგი მთელი ორი თვე წუწუნებდა და ეჭვიანობდა, არ გიყვარვარო.

– მერე?

– მერე დავარწმუნე!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24